უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტების შეფასების სახელმძღვანელო

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი

შესავალი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სახელმძღვანელოს მიზანია, დაეხმაროს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს უკეთ გაიგონ აკრედიტაციის სტანდარტების მოთხოვნები. აღნიშნული სახელმძღვანელო დაეხმარება როგორც აკადემიურ, ასევე ადმინისტრაციულ პერსონალს უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების შექმნასა და/ან განვითარებაში. თუმცა, აღსანიშნავია, რომ სახელმძღვანელოში მოცემული ინფორმაცია არ არის ყოვლისმომცველი და ატარებს სარეკომენდაციო ხასიათს.

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

1.1. პროგრამის მიზნები

პროგრამას უნდა ჰქონდეს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები, რომლებშიც ასახული იქნება, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულს მოამზადებს პროგრამა. პროგრამის მიზნები უნდა შეესაბამებოდეს უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას, ასევე - დარგის სპეციფიკასა და შრომის ბაზრის მოთხოვნებს.

1.2. პროგრამის სწავლის შედეგები

პროგრამას უნდა ჰქონდეს ნათლად ჩამოყალიბებული სწავლის შედეგები, რომლებიც შეესაბამება პროგრამის მიზნებს, რაც ასახული იქნება პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების რუკაზე. აღნიშნული რუკა შეიძლება შემდეგი ცხრილის სახით გამოვსახოთ.

პროგრამის მიზნები	**პროგრამის სწავლის შედეგი 1**	**პროგრამის სწავლის შედეგი 2**	**პროგრამის სწავლის შედეგი 3**	**პროგრამის სწავლის შედეგი 4**	**პროგრამის სწავლის შედეგი 5**
ა	✓		✓		✓
ბ				✓	
გ	✓				

დ			✓		✓
ე	✓				✓

პროგრამის თითოეული სწავლის შედეგი პროგრამის დასასრულს უნდა შეფასედეს, რაც საშუალებას მისცემს უსდ-ებს აჩვენონ, რომ საგანმანათლებლო პროგრამის დასრულებისას სტუდენტებმა მიაღწიეს პროგრამის სწავლის შედეგებს. ეს უკანასკნელი კი იმის მაჩვენებელიც იქნება, რომ პროგრამის მიზნები მიღწეულია, რადგან პროგრამის თითოეული მიზანი დაკავშირებულია პროგრამის სწავლის შედეგ(ებ)თან.

პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება შედგება ოთხი ეტაპისაგან:

- პროგრამის სწავლის შედეგების ჩამოყალიბება;
- კურიკულუმის ანალიზი, რათა დავრწმუნდეთ, რომ სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა მიაღწიონ აღნიშნულ სწავლის შედეგებს;
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება;
- შეფასების შედეგების გამოყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

1) პროგრამის სწავლის შედეგების ჩამოყალიბება

პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა და პასუხისმგებლობას, ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას. პროგრამის სწავლის შედეგები უნდა შეესაბამებოდეს მისანიჭებელ კვალიფიკაციას და სწავლების საფეხურს. საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამის სწავლის შედეგები უნდა განსხვავდებოდეს სირთულის მიხედვით. ასევე მნიშვნელოვანია, რომ პროგრამის სწავლის შედეგები ასახავდეს იმ ცოდნასა და უნარებს, რომლებიც პროგრამის კვალიფიკაციის მქონე პირს უნდა ჰქონდეს. იმ შემთხვევაში, თუ პროგრამა არის რეგულირებადი, მაშინ სწავლის შედეგების ჩამოყალიბებისას ასევე უნდა მოხდეს დარგობრივი მახასიათებლის გათვალისწინება. ამასთანავე, სწავლის შედეგები უნდა იყოს მიღწევადი, რეალისტური და გაზომვადი (რაც მათ შეფასებას გულისხმობს). სწავლის შედეგებში, სასურველია, ასახული

იყოს ბაზრის მოთხოვნებიც, რომლებიც დაფუძნებული იქნება შრომის ბაზრისა და დამსაქმებელთა მოთხოვნების ანალიზზე. იმასათვის, რომ სწავლის შედეგებში ასახული იყოს დარგის სპეციფიკა და შრომის ბაზრის მოთხოვნები, სწავლის შედეგების შედგენის პროცესში ჩართული უნდა იყვნენ აკადემიური და მოწვეული პერსონალი, სტუდენტები და კურსდამთავრებულები, შესაბამისი სფეროს დამსაქმებლები და ა.შ. ასევე, კარგი იქნება მსოფლიოში არსებული საუკეთესო პრაქტიკის გათვალისწინებაც და მსგავსი პროგრამების და/ან დარგობრივი მახასიათებლების სწავლის შედეგების გადახედვა/გათვალიწინება. შრომის ბაზრისა და დამსაქმებელთა მოთხოვნების ანალიზი გულისხმობს იმის დადგენას, თუ აღნიშნულ დარგში რა საჭიროებებია, რა ცოდნა და უნარები სჭირდებათ დამსაქმებლებს. ანალიზის შედეგად კი შესაბამისი ცოდნა და უნარები სწავლის შედეგებში უნდა აისახოს. აღნიშნული ინფორმაცია უსდ-ებმა შეიძლება მოიპოვონ დამსაქმებელთა გამოკითხვით, ფოკუს-ჯგუფების ჩატარებით, არსებული მონაცემების გამოყენებით (ასეთის არსებობის შემთხვევაში) და ა.შ.

იმისათვის, რომ შესაძლებელი იყოს პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება, მათი ფორმულირებისას უსდ-ებმა მიზანშეწონილია იხელმძღვანელონ შემდეგი ფორმულით:

პროგრამის დასრულების შემდეგ სტუდენტები შეძლებენ + მოქმედების გამომხატველი ზმნა + რა ეცოდინებათ, რა უნარები ექნებათ, რა ემოციური ცვლილება მოხდება მათში.

მაგ: პროგრამის დასრულების შემდეგ სტუდენტებს შეეძლებათ შეაფასონ მონეტარული პოლიტიკის გავლენა ეკონომიკაზე.

აქვე აღსანიშნავია, რომ პროგრამის სწავლის შედეგების რაოდენობა არ უნდა იყოს ძალიან ბევრი. ოქროს წესად მიიჩნევა ათამდე სწავლის შედეგის ჩამოყალიბება. სწავლის შედეგების ჩამოყალიბებისას, როგორც წესი, იყენებენ ბლუმის განახლებულ ტაქსონომიას. აღნიშნული ტაქსონომია მოიცავს ცოდნისა და ინტელექტუალური უნარების ექვს პროგრესულ დონეს. თითოეული დონისთვის კი განსაზღვრულია შესაბამისი ზმნები. აღნიშნული ზმნების გამოყენებით გამარტივდება სწავლის შედეგ(ებ)ის სირთულის განსაზვრა და ასევე მათი შეფასება.

2) კურიკულუმის ანალიზი

მას შემდეგ, რაც განისაზღვრება პროგრამის სწავლის შედეგები, უნდა აიგოს კურიკულუმი (არსებული პროგრამის შემთხვევაში უნდა მოხდეს კურიკულუმის გადახედვა), რათა

დავრწმუნდეთ, რომ სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა მიაღწიონ შესაბამის სწავლის შედეგებს. ამისათვის საუკეთესო გზაა კურიკულუმის რუკის შედგენა. ეს უკანასკნელი ასახავს, თუ რომელი სასწავლო კურსებით, აქტივობებითა თუ კვლევითი კომპონენტებით ვითარდება სტუდენტებში პროგრამის სწავლის შედეგები.

კურიკულუმის რუკა შეიძლება გამოვსახოთ ქვემოთ მოცემული ცხრილის სახით.

სასწავლო კურსი	**პროგრამის სწავლის შედეგი 1**	**პროგრამის სწავლის შედეგი 2**	**პროგრამის სწავლის შედეგი 3**	**პროგრამის სწავლის შედეგი 4**	**პროგრამის სწავლის შედეგი 5**
ა	✓		✓		✓
ბ					✓
გ	✓				✓
დ			✓		✓
ე	✓				✓

თუმცა, რა თქმა უნდა, თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგებში უნდა ჩანდეს ბმა პროგრამის სწავლის შედეგ(ებ)თან, თუკი ვამბობთ, რომ ესა თუ ის კურსი ავითარებს პროგრამის შესაბამის სწავლის შედეგს. შესაძლებელია ასევე, უბრალოდ აღნიშვნის ნაცვლად, ისიც მიეთითოს, თუ რა დონით ავითარებს ესა თუ ის სასწავლო კურსი პროგრამის სწავლის შედეგებს. მაგ.:

სასწავლო კურსი	**პროგრამის სწავლის შედეგი 1**	**პროგრამის სწავლის შედეგი 2**	**პროგრამის სწავლის შედეგი 3**	**პროგრამის სწავლის შედეგი 4**	**პროგრამის სწავლის შედეგი 5**
ა	1		1		1
ბ					
გ	2				2
დ			2		2

ე	3				3

1 - გაცნობა; 2 - გაღრმავება; 3 - განმტკიცება

კურიკულუმის რუკის ჩამოყალიბების შემდეგ უნდა მოხდეს მისი ანალიზი და იმის დადგენა, უზრუნველყოფს თუ არა კურიკულუმი პროგრამის სწავლის შედეგების განვითარებას სტუდენტებში. რუკაზე ყურადღება უნდა მივაქციოთ იმას, თუ რამდენი სასწავლო კურსი ავითარებს პროგრამის თითოეულ სწავლის შედეგს და დადგინდეს, რამდენად ადეკვატურია ეს რაოდენობა; ზედმეტად ბევრი სასწავლო კურსი ხომ არ ავითარებს ერთსა და იმავე სწავლის შედეგს ან პირიქით; ხომ არ გვაქვს ისეთი სავალდებულო სასწავლო კურსი პროგრამაში, რომელიც პროგრამის არც ერთ სწავლის შედეგს არ ავითარებს (მაგ., სასწავლო კურსი „ბ“); ხომ არ არის პროგრამაში ისეთი სწავლის შედეგი, რომელსაც არც ერთი სასწავლო კურსი ან/და სხვა აქტივობა არ ავითარებს (მაგ., პროგრამის სწავლის შედეგი 2). პროგრამის თითოეული სწავლის შედეგი სამივე დონეზე უნდა განვითარდეს.

პროგრამის თითოეული სწავლის შედეგისთვის უნდა დადგინდეს სამიზნე ნიშნული, რომელიც ასახავს მოლოდინს, თუ რა დონით მიაღწევენ სტუდენტები თითოეულ სწავლის შედეგს. მაგ., სტუდენტების 60% მიიღებს 15 დან 20 ქულამდე შეფასებას პროგრამის პირველ სწავლის შედეგში (იმ შემთავევაში, თუ ამ სწავლის შედეგს ვაფასებს ესეს მეშვეობით, რომლის მაქსიმალური შეფასებაა 20 ქულა). იმისათვის, რომ დადგინდეს სამიზნე ნიშნულები, ჯერ მიზანშეწონილია განისაზღვროს, თუ როგორ შეფასდება სწავლის შედეგები.

3) პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება

მას შემდეგ, რაც დავრწმუნდებით, რომ კურიკულუმი იმგვარად არის აგებული, უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას სტუდენტების მიერ, უნდა ჩამოყალიბდეს პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების გეგმა. სწავლის შედეგების შეფასების გეგმაში უნდა აისახოს, თუ როგორ შეფასდება პროგრამის სწავლის შედეგები პროგრამის დასასრულს. მნიშვნელოვანია, რომ პროგრამის სწავლის შედეგები შეფასდეს იმ სასწავლო კურს(ებ)ში, რომლებშიც კურიკულუმის რუკის მიხედვით ხდება პროგრამის სწავლის შედეგ(ებ)ის განმტკიცება. შესაძლებელია ერთ სასწავლო კურსში პროგრამის რამდენიმე სწავლის შედეგი შევაფასოთ. ასევე, თუ სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამები

ფასდება, კარგი პრაქტიკაა, რომ პროგრამის სწავლის შედეგები შეფასდეს სამაგისტრო და სადისერტაციო ნაშრომებში. საბაკალავრო პროგრამის შემთხვევაში ხშირად იყენებენ რეპეტიტორიუმებს (capstone course) პროგრამის სწავლის შედეგების შესაფასებლად. ასევე უნდა განისაზღვროს სწავლის შედეგების შეფასების პერიოდულობა. იმ შემთხვევაში, თუ პროგრამაში ჩართულ სტუდენტთა რიცხვი ძალიან დიდია, შეიძლება შეფასდეს მათი ნაწილი შემთხვევითი შერჩევის პრინციპით. მნიშვნელოვანია, რომ განხორციელებული შეფასება იყოს ვალიდური, სანდო და გამჭვირვალე.

პროგრამის სწავლის შედეგები უნდა შეფასდეს როგორც პირდაპირი, ასევე არაპირდაპირი მეთოდების გამოყენებით. პირდაპირი შეფასების მეთოდია ის, რომლის მეშვეობითაც მოწმდება, მიაღწია თუ არა სტუდენტმა პროგრამის სწავლის შედეგს სტუდენტის მიერ შესრულებული დავალების მეშვეობით. ეს შეიძლება იყოს ტესტი, გამოცდა, ესე, პორტფოლიო, სიმულაცია, სალიცენზიო გამოცდა, საველე გამოცდილებისას ზედამხედველის მიერ სტუდენტის შეფასება და ა.შ. რაც შეეხება შეფასების არაპირდაპირ მეთოდს, ეს არის სტუდენტის მიერ თვითშეფასება, დამსაქმებლის მიერ სტუდენტის შეფასება და ა.შ. თუმცა მნიშვნელოვანია, რომ აღნიშნული შეფასება არ აგვერიოს სტუდენტის მიერ კურსის შეფასებასა ან კმაყოფილების კვლევის შედეგებში. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მიზნით, შეიძლება მომზადდეს კითხვარი, რომელშიც ჩამოთვლილი იქნება პროგრამის სწავლის შედეგები და სტუდენტები აღნიშნავენ თავიანთ მოსაზრებას, თუ რა დონეზე მიაღწიეს ამა თუ იმ სწავლის შედეგს. იმავე კითხვარის გაგზავნა შეიძლება დამსაქმებლებთანაც.

პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი აღწერილი უნდა იყოს სწავლის შედეგების შეფასების გეგმაში, რომელშიც უნდა ჩანდეს, თუ რომელი დავალებით, როდის, ვის მიერ, სტუდენტთა რა რაოდენობაზე შეფასდება პროგრამის თითოეული სწავლის შედეგი. იმ შემთხვევაში, თუ გამოიყენება რუბრიკა/რუბრიკები დავალების შესაფასებლად (რაც საუკეთესო პრაქტიკადაა მიჩნეული), ისიც თან უნდა ერთვოდეს შეფასების გეგმას.

აქვე აღსანიშნავია, რომ სასწავლო კურსში მიღებული საბოლოო შეფასება ვერ ჩაითვლება პროგრამის სწავლის შედეგების შეფასებად, რადგან სასწავლო კურსის ქულა მოიცავს და აფასებს პროგრამის სწავლის შედეგების მიღმა ბევრ სხვა უნარსა და ცოდნასაც. პროგრამის

სწავლის შედეგების შეფასებისას უნდა გამოიყენებოდეს იმ კონკრეტული დავალების შედეგი, რომელიც უშუალოდ ზომავს აღნიშნულ სწავლის შედეგს.

4) შეფასების შედეგების გამოყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად

პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ყველაზე მნიშვნელოვანია მეოთხე ეტაპი, როდესაც მიღებული შედეგები გაანალიზდება და ამის საფუძველზე პროგრამა უმჯობესდება. ამ ატაპზე ხდება შედეგების სამიზნე ნიშნულებთან დადრება და იმის ანალიზი, თუ რამდენად მიაღწიეს სტუდენტებმა სწავლის შედეგებს იმ დონით, როგორც ვვარაუდობდით. ასევე ხდება განსაზღვრა, ხომ არ არის ერთი ან მეტი სწავლის შედეგი, რომლებსაც სტუდენტების უმრავლესობა სუსტად ან ვერ აღწევს. ასეთის არსებობის შემთხვევაში ხდება კურიკულუმის რუკასთან მიბრუნება და იმ სასწავლო კურსების გადახედვა, რომელებიც ავითარებენ აღნიშნულ სწავლის შედეგ(ებ)ს. მნიშნველოვანია აგრეთვე სტუდენტებთან უკუკავშირი, თუ როგორ მიაღწიეს მათ პროგრამის სწავლის შედეგებს, რა ძლიერი და სუსტი მხარეები აქვთ. თუმცა, სტუდენტის შეფასებისგან განსხვავებით, პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პირველადი დამიშნულებაა პროგრამის შეფასება და მისი გაუმჯობესება. შეფასების შედეგად შეიძლება განხორციელდეს ცვლილებები სასწავლო კურს(ებ)ის შინაარსში, მის წინაპირობებში, სასწავლო კურსების თანმიმდევრობაში, შეიძლება დაემატოს ან ამოიღონ სასწავლო კურს(ებ)ი, ცვლილებები შევიდეს სტუდენტთა საკონსულტაციო სერვისებში, პროგრამის სწავლის შედეგებში, შეფასების მექანიზმსა და ა.შ.

მეოთზე ეტაპზე განხორციელებული ანალიზი და ანალიზის შედეგად მიღებული ცვლილებები აისახება პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ანგარიშში.

პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება მოითხოვს პროგრამის ხელმძღვანელ(ებ)ის (არსებობის შემთხვევაში), აკადემიური, მოწვეული პერსონალის, ადმინისტრაციული პერსონალის მჭირდო თანამშრომლობასა და ჩართულობას. შეფასება განსხვავებული იქნება დარგების მიხედვით და იმისათვის, რომ შეიქმნას კურიკულუმის რუკა, განისაზვროს პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების გეგმა და გაანალიზდეს შეფასების შედეგები, უშუალოდ პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური პერსონალის ჩართულობაა აუცილებელი. შესაბამისად, უსდ-ში შექმნილი უნდა იყოს შესაბამისი პირობები ყოველივე ამის უზრუნველსაყოფად.

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

საგანმანათლებლო პროგრამის მიზნის/მიზნების და სწავლის შედეგების მისაღწევად, ასევე სწავლის შედეგების შეფასების უზრუნველსაყოფად, მნიშვნელოვანია, შერჩეული იყოს პროგრამის მიზნის/მიზნებისა და სწავლის შედეგების რელევანტური სწავლების მეთოდოლოგია, გამოყენებული იყოს სწავლის შედეგების მიღწევის შეფასების ადეკვატური მეთოდები და პროგრამა ორგანიზებული იყოს თანმიმდევრულად.

2.1. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები

პროგრამის განხორციელების დაგეგმვისას, პირველ რიგში, კარგად უნდა გავიაზროთ, რა ცოდნის, უნარებისა და გამოცდილების მქონე პირების მიღება გვსურს პროგრამაზე. პროგრამაზე ჩარიცხვისთვის წინასწარ განსაზღვრული აუცილებელი მოთხოვნები უნდა გამომდინარეობდეს პროგრამაზე წარმატებული სწავლისათვის აუცილებელი საჭიროებებიდან და ისინი მჭიდროდ უნდა დავუკავშიროთ პროგრამის შინაარსს.

პროგრამის დაშვების წინაპირობის/წინაპირობების განსაზღვრისას გათვალისწინებული უნდა იყოს შესაბამისი საფეხურის (საბაკალავრო, სამაგისტრო, სადოქტორო) კანონმდებლობით განსაზღვრული მოთხოვნები და პროგრამის სპეციფიკა.

მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, **საბაკალავრო საფეხურზე** დაშვების წინაპირობებია სრული ზოგადი განათლება და ერთიანი ეროვნული გამოცდების წარმატებით ჩაბარება. უნივერსიტეტი უფლებამოსილია განსაზღვროს საკუთარი საგანმანათლებლო პროგრამებისთვის თითოეულ საგამოცდო საგანში აბიტურიენტის შედეგისათვის მისანიჭებელი კოეფიციენტი. ერთიანი ეროვნული გამოცდების საფუძველზე აბიტურიენტები საგანმანათლებლო პროგრამებზე მიიღებიან საგამოცდო საგნებისათვის მინიჭებული კოეფეცინტების მიხედვით. უნივერსიტეტი უფლებამოსილია ასევე განსაზღვროს მეოთხე საგამოცდო საგანი. უნივერსიტეტის მიერ დადგენილი საგამოცდო საგნების კოეფიციენტები და მეოთხე საგამოცდო საგანი შესაბამისობაში უნდა იყოს პროგრამის შინაარსსა და სპეციფიკასთან.

მაგალითი

პროგრამის მიზანი

ისტორიის საბაკალავრო პროგრამის მიზანია, *გააცნოს სტუდენტს მსოფლიოს ცივილიზაციების წარსული და განვითარების ისტორია; მისცეს მას ფართო ცოდნა საქართველოსა და მსოფლიოს ისტორიის შესახებ; განუვითაროს მას ისტორიული წყაროების ანალიზისა და კრიტიკული შეფასების, მათი კულტურულ და ისტორიულ ჭრილში განხილვისა და კომენტირების უნარი;*

პროგრამაზე დაშვების წინაპირობაა ერთიანი ეროვნული გამოცდების წარმატებით ჩაბარება.

სავალდებულოა აბიტურიენტმა მეოთხე გამოცდად ჩააბაროს ისტორია.

სამაგისტრო საფეხურზე დაშვების წინაპირობაა საერთო სამაგისტრო გამოცდების წარმატებით ჩაბარება. უნივერსიტეტი უფლებამოსილია, მიიღოს გადაწყვეტილება საერთო სამაგისტრო გამოცდისთვის კოეფიციენტის მინიჭების ან არ მინიჭების შესახებ. კოეფიცინეტის მინიჭების შემთხვევაში, უნივერსიტეტი ამტკიცებს კოეფიციენტს საერთო სამაგისტრო გამოცდის ტესტის ცალკეული ნაწილისთვის. კოეფციენტის არ მინიჭების შემთხვევაში, სამაგისტრო პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველი შიდასაუნივერსიტეტო გამოცდაზე დაიშვება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით მინიმალური კომპეტენციის ზღვრის გადალახვის შემთხვევაში.

უნივერსიტეტი ვალდებულია, განსაზღვროს შიდასაუნივერსიტეტო გამოცდის/გამოცდების ფორმა, შინაარსი და პროცედურა. შიდასაუნივერსიტეტო გამოცდაზე დაიშვებიან სამაგისტრო პროგრამაზე ჩარიცხვის ის მსურველები, რომლებმაც წარმატებით ჩააბარეს საერთო სამაგისტრო გამოცდები და დააკმაყოფილეს, კანონმდებლობის შესაბამისად, უნივერსიტეტის მიერ დაწესებული სხვა მოთხოვნები.

შიდასაუნივერსიტეტო გამოცდის ფორმის, შინაარსისა და პროცედურის შერჩევისას უნივერსიტეტი დამოუკიდებელია. შიდასაუნივერსიტეტო საგამოცდო ეტაპზე ის ავტონომიურად განსაზღვრავს პროგრამაზე დაშვების იმ მოთხოვნებსა და კრიტერიუმებს, რომელთა საფუძველზეც შეარჩევს პროგრამაზე წარმატებული სწავლისათვის აუცილებელი ცოდნის, უნარებისა და გამოცდილების მქონე პირს.

შიდასაუნივერსიტეტო გამოცდა შეიძლება ჩატარდეს როგორც წერილობითი (ტესტირება, წინასწარ შერჩეულ საკითხებზე თხზულების, ანალიტიკური ესეს ადგილზე წერა და სხვ.),

ასევე ზეპირი ფორმით ან/და მოიცავდეს სააპლიკაციო განაცხადების გადარჩევის ეტაპს. შესაძლებალია, შიდასაუნივერსიტეტო სამაგისტრო გამოცდა იყოს სამეტაპიანიც და მოიცავდეს როგორც სააპლიკაციო განაცხადების გადარჩევის ეტაპს, ასევე წერილობით ან/და ზეპირ გამოცდასაც.

მაგალითი

განათლების ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამის მიზანია *ხელმძღვანელების მომზადება (უმაღლესი და საშუალო) განათლების სექტორისათვის, რომლებიც შეძლებენ განათლების სისტემის მართვისთან, მისი გარდაქმნის გაუმჯობესებასთან საგანმანათლებლო დაწესებულებების მართვასა და დაფინანსებასთან დაკავშირებით განათლების პოლიტიკის ეფექტურობის უზრუნველყოფას.*

სამაგისტრო პროგრამაზე სტუდენტის დაშვების წინაპირობაა:

ა) ბაკალავრის აკადემიური ხარისხი;

ბ) საერთო სამაგისტრო გამოცდის წარმატებით ჩაბარება;

გ) შიდასაუნივერსიტო გამოცდის წარმატებით ჩაბარება.

შიდასაუნივერსიტეტო გამოცდა შედგება სააპლიკაციო პაკეტისაგან, ენის ფლობის დონის დასადგენი ტესტირებისა და ინტერვიუსაგან.

სააპლიკაციო პაკეტში უნდა შედიოდეს:

1. *აპლიკანტის CV (ავტობიოგრაფია), რომლითაც აპლიკანტი დაადასტურებს განათლების სფეროში მუშაობის მინიმუმ ორწლიან გამოცდილებას;*
2. *სამოტივაციო წერილი (ესე), რომელშიც აპლიკანტი აღწერს პროგრამაზე სწავლის გაგრძელების მოტივაციას;*
3. *ადრინდელი ნაშრომი/პროექტი/სტატია, რომელიც საუკეთესოდ ასახავს აპლიკანტის აკადემიური წერისთვის საჭირო კომპეტენციებს.*

აპლიკანტებს უნდა ჰქონდეთ ინგლისური ენის ცოდნა B2 დონეზე. აპლიკანტის ენის ფლობის დონე შემოწმდება ტესტირების საშუალებით. აპლიკანტი გათავისუფლდება ტესტირებისგან, თუ წარმოადგენს საერთაშორისოდ აღიარებულ სერტიფიკატს, რომელიც დაადასტურებს ინგლისური ენის ცოდნას B2 დონეზე.

სადოქტორო საფეხურზე დაიშვება პირი, რომელსაც აქვს მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი, ხოლო მიღების სხვა წინაპირობები და პროცედურები განისაზღვრება უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება უფლებამოსილია, განსაზღვროს სადოქტორო პროგრამაზე ჩარიცხვის შიდასაუნივერსიტეტო გამოცდის/გამოცდების ფორმა, შინაარსი და პროცედურა. შიდასაუნივერსიტეტო გამოცდაზე დაიშვებიან სადოქტორო პროგრამაზე ჩარიცხვის ის მსურველები, რომლებმაც დააკმაყოფილეს, კანონმდებლობის შესაბამისად, უნივერსიტეტის მიერ დაწესებული მოთხოვნები.

სადოქტორო საფეხურზე, ისევე როგორც სამაგისტრო საფეხურზე, შიდასაუნივერსიტეტო გამოცდა შეიძლება ჩატარდეს როგორც წერილობითი (ტესტირება, წინასწარ შერჩეულ საკითხებზე თხზულების, ანალიტიკური ესეს ადგილზე წერა და სხვ.), ასევე ზეპირი ფორმით ან/და მოიცავდეს სააპლიკაციო განაცხადების გადარჩევის ეტაპს. შესაძლებელია, შიდასაუნვერსიტეტო სადოქტორო გამოცდა იყოს რამდენიმეეტაპიანიც და მოიცავდეს ორ ან სამ ზემოთ ჩამოთვლილ ეტაპს - როგორც სააპლიკაციო განაცხადების გადარჩევის ეტაპს, ასევე წერილობით ან/და ზეპირ გამოცდასაც.

სადოქტორო საფეხურზე აპლიკანტს გააზრებული უნდა ჰქონდეს სამეცნიერო საქმიანობის სპეციფიკა და კვლევითი ინტერესები, რაც უნდა დადასტურდეს კვლევითი პროექტის განაცხადით.

მაგალითი

განათლების სადოქტორო პროგრამის მიზანია:

- მოამზადოს განათლების კონკურენტუნარიანი მკვლევრები, რომლებსაც შეუძლიათ განათლების სფეროში არსებული გამოწვევების კვლევა განათლების მეცნიერებასა და მის მომიჯნავე დისციპლინებში არსებული ცოდნის სინთეზით; შექმნას ახალი, ინტერდისციპლინურ მიდგომებზე დამყარებული ცოდნა განათლების სფეროში არსებული გამოწვევების ირგვლივ;
- დოქტორანტთა, როგორც მკვლევართა, ხელშეწყობა საერთაშორისო სამეცნიერო სივრცეში ინტეგრირებისათვის.

სადოქტორო პროგრამაზე სტუდენტის დაშვების წინაპირობებია:

- მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი, ან განათლების მიმართულებით, ან სოციალური მეცნიერებების მიმართულებით, ან მონათესავე დარგში;
- წარმატებით ჩაბარებული შიდასაუნივერსიტეტო გამოცდა ინგლისურ ენაში, მინიმუმ B2 დონეზე ცოდნის დადასტურების მიზნით ან ინგლისური ენის ცოდნის დამადასტურებელი საერთაშორისო სერტიფიკატი; ან შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ გაცემული სერტიფიკატი - Certus; ან ინგლისურენოვანი საბაკალავრო ან სამაგისტრო პროგრამის დასრულების დამადასტურებელი დიპლომი/დანართი ან ცნობა;**
- სადოქტორო კვლევითი განაცხადი;
- ზეპირი გამოცდა/გასაუბრება.

რეკომენდაცია: სასურველია, პროგრამას თან ახლდეს მიღების დოკუმენტი, რომელშიც მოცემული იქნება დეტალური ინფორმაცია პროგრამაზე მიღების პირობებისა და შეფასების სისტემის შესახებ. აპლიკანტთათვის საჭირო ყველა აუცილებელი ინფორმაცია განთავსებული უნდა იყოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ვებ-გვერდზე.

საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით, სამაგისტრო და სადოქტორო საფეხურზე სწავლის გაგრძელების მსურველთათვის შესაბამისი წინა საფეხურის განათლება არ არის სავალდებულო მოთხოვნა. თუმცა, საგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამაზე ჩარიცხვის წინაპირობად დააწესოს წინარე განათლება და/ან სამუშაო გამოცდილება შესაბამის სფეროში. აღნიშნული შეზღუდვის შემთხვევაში, უნდა გაანალიზდეს კონკრეტულ სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამებზე წარმატებული სწავლისა და კვლევისთვის აუცილებელი წინარე ცოდნა ან/და გამოცდილება; საჭიროების შესაბამისად, მოხდეს რელევანტური საგანმანათლებლო საბაკალავრო/ სამაგისტრო პროგრამების ან მიმართულებების იდენტიფიცირება და პროგრამაზე ჩარიცხვის წინაპირობად განსაზღვრა.

პროგრამაზე დაშვების წინაპირობებისა და პროცედურების სამართლიანობის უზრუნველსაყოფად უნივერსიტეტი კონკრეტული საგანმანათლებლო ერთეულისთვის

შეიმუშავებს მიღების დოკუმენტს, რომელიც საგანმანათლებლო პროგრამის თანმდევი უნდა იყოს. მიღების დოკუმენტში დეტალურად უნდა აღიწეროს პროგრამაზე მიღების წინაპირობები, მიღების პროცედურები და შიდასაუნივერსიტეტო გამოცდაზე აპლიკანტთა შეფასების სისტემა (შეფასების კრიტერიუმები და შესაბამისი რუბრიკები).

პროგრამაზე ჩარიცხვის წინაპირობების, პროცედურებისა და შეფასების წესის საჯაროობის, ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად საგანმანათლებლო დაწესებულებამ შეიძლება გამოიყენოს ინფორმაციის გავრცელების არაერთი საშუალება. მაგალითად, ინფორმაცია განათავსოს უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე, სოციალურ ქსელში უნივერსიტეტის გვერდზე, ასევე გამოიყენოს სხვა საინფორმაციო თუ მედიასაშუალებები (სატელევიზიო/რადიო გადაცემებში სტუმრობა, რეკლამის განთავსება და ა.შ.), მოაწყოს საინფორმაციო/საორიენტაციო შეხვედრები, გაავრცელოს საინფორმაციო ბუკლეტები და სხვ.

2.2. საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

საგანმანათლებლო დაწესებულებას, მოქმედი კანონმდებლობის გათვალისწინებით, ჩამოყალიბებული უნდა ჰქონდეს საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია, რომელსაც დაეყრდნობა საგანმანათლებლო დაწესებულებაში მოქმედი პროგრამების განხორციელებისას და ინიცირებული პროგრამის შემუშავებისას, მათ შორის, პროგრამის შინაარსის განსაზღვრისას.

ზემოთ აღნიშული მეთოდოლოგია უნდა აღწერდეს:

- ვის მიერ და რა პროცედურების დაცვით მოხდა პროგრამის ინიცირება;
- მონაცემთა შეგროვების რომელი მეთოდები იქნა გამოყენებული პროგრამის განვითარებისა თუ შემუშავებისათვის (მაგ., შრომის ბაზრის კვლევა, დაინტერესებული მხარეების - სტუდენტების, კურსდამთავრებულების, პროგრამის განხორციელებაში ჩართული პირების გამოკითხვის შედეგები და სხვ.);
- როგორ არის განაწილებული ფუნქცია-მოვალეობები პროგრამის შემუშავების პროცესში ჩართულ მხარეებს შორის;
- რა ეტაპებით და რა თანმიმდევრობით ხორციელდება პროგრამის შემუშავება.

წინასწარ განსაზღვრული უნდა იყოს ასევე თითოეულ ეტაპზე განსახორციელებელი აქტივობების ინსტრუქციები და სხვა.

პროგრამის შემუშავების პროცესს ორგანიზებას უწევს/უწევენ პროგრამის ხელმძღვანელი/ ხელმძღვანელები. პროგრამის ხელმძღვანელი უზრუნველყოფს პროგრამის დაგეგმვისა და შემუშავების პროცესში დაინტერესებული მხარეების მაქსიმალურ ჩართულობას სხვადასხვა ფორმით. პროგრამის ხელმძღვანელი შეიძლება იყოს ახალი პროგრამის შემუშავების ინიციატორიც.

პროგრამის წარმატებული ფუნქციონირებით დაინტერესებულნი არიან პროგრამის სტუდენტები და კურსდამთავრებულები (აკრედიტებული პროგრამის რეაკრედიტაციის შემთხვევაში), პროგრამაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალი, უნივერსიტეტის ადმინისტრაციული ერთეულები და მათი წარმომადგენლები, პოტენციური დამსაქმებლები, სფეროში მოღვაწე ექსპერტები, პრაქტიკოსი სპეციალისტები, პარტნიორი ორგანიზაციები და სხვ. აღნიშული მხარეების ჩართულობა უშუალო გავლენას უნდა ახდენდეს პროგრამის შინაარსზე.

პროგრამის შინაარსი პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის ერთ-ერთი მთავარი განმსაზღვრელი ფაქტორია, რომელიც უნდა ეყრდნობოდეს შემდეგ მონაცემებს:

- ეროვნულ საკვალიფიკაციო ჩარჩოს შესაბამისი საფეხურის კვალიფიკაციათა აღმწერს;
- შესაბამის დარგობრივ მახასიათებელს (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
- შრომის ბაზრის კვლევის შედეგებს;
- სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან, პოტენციურ დამსაქმებლებთან, სფეროში მომუშავე ექსპერტებთან და პრაქტიკოსებთან ჩატარებულ კვლევის შედეგებს;
- სამაგიდე კვლევის შედეგებს დარგში თანამედროვე მიღწევებისა და საუკეთესო გამოცდილების გაზიარების მიზნით და სხვ.

პროგრამის შინაარსში შეტანილი ყველა ცვლილება თუ ახალი პროგრამის ინიცირება დასაბუთებულად უნდა იყოს ზემოთ ჩამოთვლილი ან სხვა მეთოდებით მოპოვებული ემპირიული მონაცემებით.

პროგრამის მინიმალური მოცულობა განისზღვრება ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს შესაბამისი საფეხურის აღმწერის შესატყვისად. პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით, უნივერსიტეტი უფლებამოსილია, პროგრამის მოცულობად განსაზღვროს ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს შესაბამისი საფეხურის აღმწერის მინიმალურ მოცულობაზე მეტი.

პროგრამის შინაარსის ჩამოყალიბებისას გათალისწინებული უნდა იყოს პროგრამაზე დაშვების წინაპირობა. ეს იმას ნიშნავს, რომ პროგრამის შინაარსი უნდა მოიცავდეს ისეთ საკითხებს, რომლებიც ხელს შეუწყობს წინასწარ მოთხოვნილი ცოდნის გაღრმავებას, ახალი ცოდნითა და უნარებით შევსებას და არა მის გამეორებას.

პროგრამის შინაარსი და სტრუქტურა მიმართული უნდა იყოს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევისკენ. პროგრამის შინაარსის სწავლის შედეგებთან შესაბისობის უზრუნველსაყოფად პროგრამას უნდა ახლდეს სწავლის შედეგების რუკა, რომელშიც დეტალურად იქნება აღწერილი, რომელი კურსი ან/და პროგრამაში შემავალი სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტი სწავლის რომელ შედეგზე გადის. სწავლის შედეგების რუკა, ერთი მხრივ, ეხმარება პროგრამის შემმუშავებელ ჯგუფს პროგრამის შინაარსის ჩამოყალიბებაში და, მეორე მხრივ, ის არის საუკეთსო საშუალება, რათა დავინახოთ, რამდენად არის პროგრამის შინაარსით სწავლის ყველა შედეგი დაფარული.

მაგალითი

ნიმუშად წარმოგიდგენთ მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული პროგრამიდან კვლევის ბლოკის/კომპონენტის სწავლის შედეგების რუკას. აქვე აღსანიშნავია, რომ ბლოკის/კომპონენტის სწავლის შედეგები უკავშირდება პროგრამის ერთ ან რამდენიმე სწავლის შედეგს. მაგალითად, პროგრამის ერთი ფართო სწავლის შედეგი შეიძლება იყოფოდეს რამდენიმე ვიწრო სწავლის შედეგად.

	სწავლის შედეგი	**შესავალი განათლების კვლევებში**	**კვლევა თვისებრივი მეთოდებით**	**კვლევა რაოდენობრივი მეთოდებით**	**პედაგოგიური პრაქტიკის კვლევა**	**სამაგისტრო ნაშრომი**
1	იცნობს განათლების მეცნიერებებში თანამედროვე ტენდენციებსა და სამეცნიერო დისკუსიებში არსებულ პოზიციებს;	X				

2	შეუძლია განათლების მეცნიერებაში არსებული ტენდენციებისა და სამეცნიერო დისკუსიების ანალიზი და კრიტიკული შეფასება;	X				X
3	იცის განათლების მეცნიერებაში კვლევის უახლესი მეთოდები;		X	X	X	
4	საკვლევი საკითხის სპეციფიკიდან გამომდინარე, შეუძლია შესაბამისი კვლევის მეთოდის შერჩევა, რელევანტური ინსტრუმენტის შექმნა / მოძიება/ადაპტირება, საველე სამუშაოების განხორციელება, შედეგების ანალიზი და რეკომენდაციების შემუშავება;		X	X	X	X

5	იცის პედაგოგიური პრაქტიკის კვლევის დაგეგმვის, წარმართვისა და ანალიზის ძირითადი მიდგომები და აცნობიერებს კვლევის შედეგების გამოყენების აუცილებლობას საკუთარი პროფესიული განვითარებისა და სწავლა-სწავლების ხარისხის გაუმჯობესებაში;				X	X
6	პედაგოგიური პრაქტიკის ანალიზის საფუძველზე შეუძლია საკვლევი საკითხის იდენტიფიცირება, პრაქტიკის კვლევის დაგეგმვა, განხორციელება, ინტერვენციების ეფექტიანობის შეფასება და შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავება.;				X	X
7	შეუძლია ნაშრომის გაფორმება აკადემიური და ეთიკური სტანდარტების დაცვით.					X

პროგრამაში შემავალ სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტებზე, მათ შორის, თითოეულ სასწავლო კურსზე დაშვება უნდა ხორციელდებოდეს წინასწარ განსაზღვრული ადეკვატური წინაპირობით/წინაპირობებით. ასეთი მიდგომით უზრუნველვყოფთ ცოდნის თანმიმდევრულ აკუმულირებას და მის გრადაციას ზოგადიდან კონკრეტულამდე/ მარტივიდან რთულამდე/საბაზოდან ფართომდე.

მაგალითი

განათლების ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამის სტუდენტებისთვის კვლევით კომპონენტზე დაშვების წინაპირობაა პროფესიულ ბლოკში შემავალი ყველა სავალდებულო კურსის გავლა. აღნიშული კურსების გავლა დაეხმარება სტუდენტს საკვლევი ინტერესების იდენტიფიცირებასა და საკვლევი საკითხის ჩამოყალიბებაში.

სამაგისტრო ნაშრომის არჩევამდე სტუდენტს გავლილი უნდა ჰქონდეს კვლევის კომპონენტში შემავალი კურსები შემდეგი თანმიმდევრობით და წინაპირობების დაცვით:

N	კურსის დასახელება	კრედიტი	წინაპირობა	სემესტრი
კვლევის ბლოკი *აღნიშნულ ბლოკში შემავალი კურსების გავლამდე სტუდენტს გავლილი უნდა ჰქონდეს პროფესიული ბლოკის ყველა სავალდებულო კურსი (18 კრედიტი)*				
	შესავალი კურსი განათლების კვლევებში	6	1. ადმინისტრაციული ეთიკა და ორგანიზაციული ლიდერობა; 2. მასწავლებლების პროფესიული განვითარების პოლიტიკა საერთაშორისო გამოცდილების ჭრილში; 3. ფინანსები და სამართალი განათლების სფეროში.	მე-2 სემესტრი
	სტატისტიკა	3	1. შესავალი კურსი განათლების კვლევებში;	მე-3 სემესტრი
	კვლევის რაოდენობრივი და თვისებრივი მეთოდები	6	1. შესავალი კურსი	მე-3 სემესტრი

			2. განათლების კვლევებში; სტატისტიკა;	
	სამაგისტრო ნაშრომი	30	1. შესავალი კურსი განათლების კვლევებში; 3. სტატისტიკა; 4. კვლევის რაოდენობრივი და თვისებრივი მეთოდები.	მე-4 სემესტრი

პროგრამაში შემავალი კომპონენტების, კომპონენტების ფარგლებში შეთავაზებული კურსების მოცულობა წარმოდგენილი უნდა იყოს ევროპული კრედიტების ტრანსფერის სისტემის შესაბამისად, რომლის მიხედვით, 1 კრედიტი ტოლია 25 - 30 საათისა. კურსისთვის გათვალისწინებული კრედიტების მოცულობა კურსის ფარგლებში დაგეგმილი თემების, შესასრულებელი თეორიული, პრაქტიკული თუ კვლევითი დავალებების ადეკვატური უნდა იყოს. კურსის/კომპონენტის შინაარსის სპეციფიკა, აღნიშნული მახასიათებლის მიხედვით, გათვალისწინებული უნდა იყოს ასევე საკონტაქტო და არასაკონტაქტო საათების განსაზღვრისას.

პროგრამის შინაარსის განმსაზღვრელი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტია სავალდებულო და დამხმარე სასწავლო ლიტერატურა. პროგრამაზე სწავლის პერიოდში სტუდენტს უნდა მიეცეს საშუალება, გაეცნოს დარგის უახლეს მიღწევებსა და კვლევის შედეგებს. პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებული საკითხავი მასალა პროგრამის განხორციელების განმავლობაში მუდმივად უნდა გადაიხედოს და, საჭიროების შემთხვევაში, განახლდეს ან/და მოხდეს მისი სრულყოფა.

არა მხოლოდ სასწავლო ლიტერატურა, არამედ პროგრამის შინაარსის, სტრუქტურის თანმიმდევრულობა, სასწავლო გეგმა თუ პროგრამის შემადგენელი სხვა კომპონენტი უნდა ეფუძნებოდეს დარგში წარმატებულ გამოცდილებებს. აღნიშნულის უზრუნველსაყოფად რეკომენდებულია, პროგრამის შინაარსის განსაზღვრას წინ უძღოდეს სამაგიდო კვლევა, რომლის ფარგლებშიც გაანალიზებული იქნება ადგილობრივ ან/და საერთაშორისო დონეზე ანალოგიური ან/და მომიჯნავე პროგრამების შინაარსი და მისი განხორციელების მოდელები.

საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო საფეხურებზე, საგანმანათლებლო პროგრამის მიზნებიდან გამომდინარე, პროგრამა უნდა მოიცავდეს თავისუფალი კომპონენტის ფარგლებში არჩევითობას. აღნიშნული კომპონენტის შეთავაზების მიზანია, სტუდენტებს მიეცეთ სავალდებულო კურსების ფარგლებში მიღებული ცოდნის გაღრმავების ან, საკუთარი სასწავლო თუ კვლევითი ინტერესებიდან გამომდინარე, საფეხურის შესაბამისი კურსების არჩევის შესაძლებლობა.

პროგრამის შესახებ ყველა ინფორმაცია ხელმისაწვდომი უნდა იყოს ნებისმიერი დაინტერესებული მხარისთვის. ამისათვის შეიძლება გამოვიყენოთ უნივერსიტეტის ვებ-გვერდი, სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემები (ასეთის არსებობის შემთხვევაში), უნივერსიტეტის გვერდი სოციალურ ქსელებში. პროგრამის შესახებ ინფორმაციის გასავრცელებლად შესაძლებელია ასევე მოეწყოს სხვადასხვა საინფორმაციო თუ საორიენტაციო შეხვედრები როგორც აბიტურიენტებთან, ასევე ახლადჩარიცხულ სტუდენტებთან, გავრცელდეს საინფორმაციო ბუკლეტები და ა.შ.

2.3 სასწავლო კურსი

პროგრამის ფარგლებში შეთავაზებული ცალკეული სასწავლო კურსების სწავლის შედეგების ერთობლიობა უნდა უზრუნველყოფდეს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. აქედან გამომდინარე, პროგრამის სწავლის შედეგებზე დაყრდნობით, ხდება სასწავლო კურსების იდენტიფიცირება, რომელთა სწავლის შედეგების ერთობლიობა ფარავს პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო კურსის შინაარსი - ამავე კურსის სწავლის შედეგებს.

სასწავლო კურსის პროგრამის სწავლის შედეგებთან შესაბამისობის დასადგენად შეგვიძლია გამოვიყენოთ სწავლის შედეგების რუკა, რომელშც დეტალურად იქნება აღწერილი პროგრამის რომელი სწავლის შედეგი მიიღწევა ამა თუ იმ კურსით (სწავლის შედეგების რუკის ნიმუში იხილეთ ზემოთ).

სასწავლო კურსის სწავლის შედეგების უმაღლესი განათლების განსაზღვრულ საფეხურთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად გასათვალისწინებელია ეროვნული საკვალიფკაციო ჩარჩოს შესაბამისი საფეხურის კვალიფკაციათა აღმწერი, ხოლო რეგულირებადი პროფესიების შემთხვევაში, დამატებით შესაბამისი დარგობრივი მახასიათებლით განსაზღვრული კომპეტენციებიც.

თითოეული სასწავლო კურსის მოცულობა განსაზღვრული უნდა იყოს კრედიტებში. სასწავლო კურსის დაგეგმვისას და მისთვის კრედიტების მინიჭებისას გათვალისწინებული უნდა იყოს როგორც საკონტაქტო, ასევე არასაკონტაქტო საათები, რომელთა მოცულობა და მათ შორის თანაფარდობა უნდა იყოს სტუდენტის სასწავლო დატვირთვის, კურსის ფარგლებში შესასრულებელი დავალებების მოცულობისა და სირთულის, კურსის ფარგლებში გამოსაყენებელ სწავლა-სწავლების მეთოდების რელევანტური.

მნიშვნელოვანია, რომ კურსით განსაზღვრული ყველა სწავლის შედეგი იყოს გაზომვადი, რაც გულისხმობს იმას, რომ ყველა სწავლის შედეგი უნდა ფასდებოდეს. სასწავლო კურსით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევის შეფასების უზრუნველსაყოფად კურსის სილაბუსში განსაზღვრული უნდა იყოს სტუდენტთა ცოდნის შეფასების შესაბამისი კომპონენტები და კრიტერიუმები, რომლებიც დეტალურად უნდა იყოს აღწერილი შეფასების რუბრიკაში.

სასწავლო კურსის სილაბუსში მითითებული უნდა იყოს სავალდებულო და დამატებითი სასწავლო მასალა. სასწავლო მასალა შეიძლება იყოს სახელმძღვანელო, მონოგრაფია, სტატია, გზამკვლევი, ავთენტური წყაროები, სამეცნიერო პერიოდული გამოცემები, უახლეს და მრავალფეროვან ლიტერატურაზე დაყრდნობით ლექტორის მიერ მომზადებული საკითხავი მასალა და სხვ. იმ შემთხვევაში, თუ სავალდებულო მასალად მითითებულია ლიტერტურა, რომელიც მხოლოდ რომელიმე უცხო ენაზეა ხელმისაწვდომი, მაშინ კურსზე დაშვების წინაპირობად განსაზღვრული უნდა იყოს შესაბამისი უცხო ენის ფლობა სასწავლო მასალის დაძველევისთვის საჭირო დონეზე. ასეთ შემთხვევაში, უცხო ენის ფლობა უნდა წარმოადგენდეს ასევე პროგრამაზე დაშვების წინაპირობას.

სადოქტორო საფეხურის შემთხვევაში, რეკომენდებულია, ძირითადი აქცენტი გაკეთდეს სასწავლო კურსებში სასწავლო მასალად მონოგრაფიების, სამეცნიერო სტატიების, ავთენტური წყაროებისა და არა გზამკვლევებისა და სახელმძღვანელოების გამოყენებაზე. ასეთი მიდგომით უზრუნველყოფილი იქნება, უახლეს მიღწევებზე დამყარებული ცოდნიდან გამომდინარე, ახალი იდეების ან პროცესების განვითარების მზაობა სწავლისა და საქმიანობის, მათ შორის, კვლევის პროცესში.

სასწავლო კურსის მაგალითი

კურსი შეთავაზებულია დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების პროგრამის ფარგლებში. პროგრამის მიზანია, მოამზადოს დაწყებითი საფეხურის ქართული ენისა და ლიტერატურის, მათემატიკის, ბუნებისმეტყველებისა და საზოგადოებრივი მეცნიერებების მასწავლებელი, რომელსაც აქვს წარმატებული პროფესიული საქმინობისათვის შესაბამისი თეორიული ცოდნა, პრაქტიკული უნარ-ჩვევები და ღირებულებები და შეუძლია უპასუხოს მასწავლებლისადმი წაყენებულ თანამედროვე მოთხოვნებს.

სასწავლო კურსის დასახელება: სწავლისა და სწავლების თანამედროვე მიდგომები

კურსის მოცულობა: 6 კრედიტი (სულ 150 საათი)

შენიშვნა: *კურსი ითვალისწინებს პრაქტიკული დავალებების შერულებას სკოლაში 2 კრედიტის (50 საათი) მოცულობით.*

საათების განაწილება: საკონტაქტო საათები - 32 საათი/არასაკონტაქტო 118 საათი

კურსის მიზანი: კურსის გავლის შედეგად სტუდენტები შეძლებენ სასწავლო პროცესის გრძლევადიანი და მოკლევადიანი მიზნების განსაზღვრასა და მიზნების შესაბამისად დაგეგმვას, ყველა კომპონენტისა და მათ შორის კავშირების გათვალისწინებით;

სწავლის შედგები: კურსის გავლის შემდეგ სტუდენტი ფლობს შემდეგ ზოგად და პროფესიულ კომპეტენციებს:

- შეუძლია სასწავლო პროცესის დაგეგმვა ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების, ეროვნული სასწავლო გეგმის, სკოლის პრიორიტეტებისა და მოსწავლეთა საჭიროებების გათვალისწინებით;
- შეუძლია გაკვეთილის დაგეგმვა ყველა კომპონენტისა და მათ შორის კავშირების გათვალისწინებით;
- სასწავლო პროცესის დაგეგმვისას ითვალისწინებს განათლების მიზნების ტაქსონომიასა და გარდნერის მრავალმხრივი ინტელექტის თეორიას;
- შეუძლია სასწავლო მიზნის, აქტივობისა და სტრატეგიის შესაბამისი სწავლების ფორმის შერჩევა;
- იცნობს სწავლისა და სწავლების ეფექტიან სტრატეგიებს, აცნობიერებს მათი გამოყენების აუცილებლობას თითოეული მოსწავლის ეფექტიანი სწავლისა და წინსვლისათვის და შეუძლია ამ სტრატეგიების ადეკვატურად გამოყენება სასწავლო პროცესში;
- საგაკვეთილო პროცესზე დაკვირვებით შეუძლა მისი ანალიზი, შეფასება და შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავება;
- აცნობიერებს მიღებული ცოდნის აუცილებლობას მასწავლებლის პროფესიაში შესასვლელად.

შეფასების წესი: სტუდენტი შეფასდება მთელი სემესტრის განმავლობაში მიღებული შედეგების და საგნის ცოდნის ჩვენების მიხედვით, რაც გამოხატული იქნება შეფასების შემდგომი კომპონენტებით:

- **აქტიურობა - 10 ქულა**

  სტუდენტს მოეთხოვება სემინარებზე აქტიური მონაწილეობის მიღება. შეფასებული იქნება საშინაო დავალებები და სემინარებზე შესრულებული ინდივიდუალური თუ ჯგუფური სამუშაოები, შემოქმედებითი და კრიტიკული აზროვნების, არგუმენტირებულად მსჯელობის უნარი. ასევე დიდი ყურადღება მიექცევა დისკუსიებში მონაწილეობის კულტურას - საკუთარი ალტერნატიული აზრის გამოხატვისა და დაცვის, სხვათა აზრების მოსმენის და გათვალისწინების უნარს.

- **ელექტრონული პორტფოლიო - 20 ქულა**

  სტუდენტს მოეთხოვება პორტფოლიოს წარმოება, რომელშიც თავმოყრილი იქნება ამა თუ იმ განვლილი თემის გარშემო შეგროვებული ყველა მასალა, სხვადასხვა სახის დავალება, მათ შორის, საშინაო დავალებები, სემინარებზე და სასკოლო პრაქტიკისას შესრულებული დავალებები, ჩანაწერები, კითხვები, შენიშვნები და ა.შ. პორტფოლიო უნდა იყოს სტუდენტის მიერ დამოუკიდებლად და პერმანენტულად გაწეული მუშაობის შედეგი.

- **I შუალედური შეფასება/ ტესტი - 20 ქულა**

  სტუდენტმა უნდა უპასუხოს ღია და დახურულ ტესტურ დავალებებს. თითოეული დახურული ტესტური დავალება შეფასდება ერთი ქულით, ხოლო ღია ტესტური დავალების შეფასების წილი და კრიტერიუმები განისაზღვრება თითოეულ დავალებასთან მიმართებით, რაც სტუდენტისთვის წინასწარ იქნება ცნობილი. ასევე თანდართული ექნება ტესტს შეფასების სანდოობისა და გამჭვირვალეობის მისაღწევად.

- **II შუალედური შეფასება - 30 ქულა** (სასკოლო პრაქტიკის ანგარიში - 20 ქულა, პრეზენტაცია 10 ქულა)

  სტუდენტს მოეთხოვება სასწავლო კურსის ფარგლებში განხორციელებული პრაქტიკის შესახებ ანგარიშის მომზადება და მისი პრეზენტაცია წინასწარ შემუშავებულ კრიტერიუმებზე დაყრდნობით.

შენიშვნა: აღნიშნულ კრიტერიუმებზე დაყრდნობით, კურსის ფარგლებში შემუშავებული უნდა იყოს შეფასების რუბრიკები, რომლებიც წინასწარ ცნობილი იქნება სტუდენტისთვის.

2.4. პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი და ტრანსფერული უნარების განვითარება

პროფესიული პრაქტიკა პროგრამის აუცილებელ კომპონენტს წარმოადგენს. მისი მიზანია, საუნივერსიტეტო განათლების თეორიული ცოდნის ტრანსფერის საფუძველზე, ხელი შეუწყოს სტუდენტებს განივითარონ აუცილებელი პრაქტიკული უნარები, რაც, თავის მხრივ, წარმატებული პროფესიული საქმიანობის წინაპირობაა.

საერთაშორისო გამოცდილების გათვალისწინებით, პრაქტიკის განხორციელების არაერთი მოდელი არსებობს, რომელთაგან განვიხილავთ მხოლოდ სამ მოდელს.

საქართველოში ფართოდ არის გავრცელებული პრაქტიკა, რომელიც პროგრამაში წარმოდგენილია **დამოუკიდებელი კურსის/კურსების სახით (პირველი მოდელი).** პრაქტიკის კურსი/კურსები, ხშირ შემთხვევაში, შეთავზებულია პროგრამის დასკვნით ეტაპზე - დამამთავრებელ სემესტრში/სემესტრებში. პრაქტიკის აღნიშნული მოდელი ძირითადად აქტიურ პრაქტიკას (სტუდენტის მიერ პრაქტიკის ადგილზე აქტივობების დამოუკიდებლად განხორციელება პრაქტიკის ხელმძღვანელის მეთვალყურეობით) გულისხმობს, რომლის მიზანია თეორიულ კურსებში მიღებული ცოდნის, უნარების, გამოცდილების შეჯამება და მათი პრაქტიკულად განხორციელება.

აღნიშნულ მოდელს გარკვეული შეზღუდვები აქვს: შესაძლებელია, სტუდენტს გაუჭირდეს ერთბაშად პროგრამის ფარგლებში მიღებული თეორიული ცოდნის დაკავშირება პრაქტიკასთან, რაც ეჭვქვეშ აყენებს პრაქტიკის აღნიშნული მოდელის სრულ ეფექტიანობას.

მეორე მოდელი ე.წ. თეორიულ კურსებში ჩაშენებული პრაქტიკა ფოკუსირებულია იმ თემატიკაზე, რომელსაც ითვალისწინებს შესაბამისი სასწავლო კურსის შინაარსი. პრაქტიკის აღნიშნული მოდელის მიზანია, თეორიული ცოდნისა და გამოცდილების მყისიერი ტრანსფერი პრაქტიკაში.

პრაქტიკის აღნიშნული მოდელი, მართალია, გამჭოლად გასდევს პროგრამას და შესაძლებელია ინტენსიური ხასიათიც კი ჰქონდეს, მაგრამ მას აქვს ასევე გარკვეული რისკი. სტუდენტს არ ეძლევა პროგრამაზე სწავლის სხვადასხვა ეტაპზე მიღებული თორიული და

პრაქტიკული ცოდნისა და უნარების შეჯამების, გაანალიზების, თვითშეფასებისა და რეფლექსიის შესაძლებლობა.

მესამე მოდელი, ე.წ. პრაქტიკის შერეული მოდელი, გულისხმობს თეორიულ კურსებში ჩაშენებული პრაქტიკისა და პრაქტიკის დამოუკიდებელი კურსის/კურსების თანმიმდევრულ განხორციელებას.

პრაქტიკის აღნიშნული მოდელის გამოყენებისას შესაძლებელია თავიდან ავიცილოთ ის რისკები, რომლებიც შეიძლება გამოვლინდეს პირველი და მეორე მოდელის შემთხვევაში, რადგან ორივე ერთმანეთს ავსებს. კურსებში ჩაშენებული პრაქტიკის კომპონენეტის ფარგლებში სტუდენტი ჩართულია პრაქტიკულ აქტივობებში პროგრამაზე სწავლის პირველივე ეტაპიდან, ხოლო პრაქტიკის შემაჯამებელი კურსის/კურსების არჩევის შესაძლებლობა ეძლევა დამამთავრებელ ეტაპზე, სადაც ის ახდენს პროგრამაზე სწავლის სხვდასხვა ეტაპზე მიღებული თეორიული და პრაქტიკული ცოდნის, უნარების შეჯამებას, გაანალიზებას, თვითშეფასებასა და რეფლექსიას.

პრაქტიკის კომპონენტი დაგეგმილი და ორგანიზებული უნდა იყოს თანმიმდევრულად და სტრუქტურირებულად. ის მჭიდროდ უნდა იყოს დაკავშირებული პროგრამის სწავლის შედეგებთან.

საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებული პრაქტიკა უნდა უზრუნველყოფდეს თანმიმდევრულ გადასვლას პასიური პრაქტიკიდან აქტიურ პრაქტიკამდე. პასიური პრაქტიკის დროს სტუდენტი უმეტესწილად პრაქტიკის ადგილზე პროცესების დამკვირვებლის როლშია ან ასისიტრებას უწევს პრაქტიკის ხელმძღვანელს. აქტიური პრაქტიკის დროს კი, თავად გეგმავს და ახორციელებს პრაქტიკულ აქტივოებებს პრაქტიკის ხელმძღვანელთან შეთანხმებით და მისი მეთვალყურეობით.

სასურველია, კურსის სილაბუსში, რომელიც პრაქტიკის კომპონენტს მოიცავს, დაწვრილებით იყოს აღწერილი პრაქტიკის გეგმა, რაც გულისხმობს პრაქტიკის ადგილზე თითოეული ვიზიტის დროს განსახორციელებელი აქტივობების მიზანს, შინაარსს, საშინაო დავალების ინსტრუქციას, პრაქტიკაზე სტუდენტის შეფასების მექანიზმებს და სხვ. პრაქტიკის დაგეგმვისა და მისი აღწერის ასეთი მიდგომით ხელს შევუწყობთ, რომ პრაქტიკის პროცესი იყოს ცხადი და ასევე თანმიმდევრულად აღქმადი როგორც სტუდენტებისთვის, ასევე პრაქტიკის ადგილზე პრაქტიკის ხელმძღვანელებისთვის.

პრაქტიკის პროცესის ეფექტურად მიმდინარეობისთვის მნიშვნელოვანია, კურსის ხელმძღვანელსა (ლექტორი) და პრაქტიკის ხელმძღვანელს (პრაქტიკის ადგილზე პარტნიორი ორგანიზაციის წარმომადგენელი) შორის დაიგეგმოს პრაქტიკის დასაწყისში საორიენტაციო შეხვედრები პრაქტიკის მიზნებისა და გეგმის გაცნობისათვის. ასევე პერიოდული პირისპირ ან ონლაინსამუშაო შეხვედრები პრაქტიკის მიმდინარეობისას, პრაქტიკის პროცესის მონიტორინგის ან შუალედური ანალიზისა და პრაქტიკის დასასრულს შემაჯამებელი განხილვების მიზნით.

პრაქტიკის დაგეგმვისას, პირველ რიგში, უნდა განისაზღვროს პარტნიორი ორგანიზაციები, რომლებიც რელევანტური იქნება პროგრამის მიზნებსა და შესაბამის სფეროსთან. პარტნიორ ორგანიზაციებთან თანამშრომლობის პირობები უნდა განისაზღვროს ურთიერთთანამშრომლობის დოკუმენტით (მემორანდუმი, ხელშეკრულება). ურთიერთთანამშრომლობის დოკუმენტი დეტალურად უნდა აღწერდეს მხარეთა უფლებებსა და მოვალეობებს, მათ შორის, სტუდენტების სავარაუდო რაოდენობას, პრაქტიკის მიზანსა და ხანგრძლივობას.

პროგრამის ფარგლებში უნივერსიტეტმა უნდა შეიმუშაოს სტუდენტთა პრაქტიკის ადგილებზე გადანაწილების ისეთი მექანიზმი, რომელიც ითვალისწინებს პრაქტიკის ფორმატს, ფორმატის შესაბამისად სტუდენტთა/სტუდენტთა ჯგუფების რაოდენობას, პრაქტიკის თემატიკას, პრაქტიკული დავალების სპეციფიკას, პარტნიორი ორგანიზაციების ადამიანურ, მატერიალურ რესურსებსა და სხვ.

მნიშვნელოვანია, უნივერსიტეტი უზრუნველყოფდეს პრაქტიკის განხორციელების მონიტორინგსა და შეფასებას, რომლის მიზანია, განისაზღვროს პრაქტიკის ძლიერი და სუსტი მხარეები, დაგეგმვისას და განხორციელებისას დაშვებული ხარვეზები, გამოვლინდეს მიზნის მიღწევის სხვა, ალტერნატიული საშუალებები და სტრატეგიები, რაც პროცესის შემდგომ განვითარებასა და დახვეწას შეუწყობს ხელს.

პრაქტიკის ფარგლებში დაგეგმილი აქტივობების განხორციელებისას სტუდენტს ხელმძღვანელობას უწევს უნივერსიტეტის მხრიდან სასწავლო კურსის ხელმძღვანელი - ლექტორი და პრაქტიკის ადგილზე პრაქტიკის ხელმძღვანელი - ორგანიზაციის წარმომადგენელი.

სასურველია, პრაქტიკის კომპონენტში სტუდენტის შეფასებაში მონაწილეობდეს როგორც ლექტორი, ასევე ორგანიზაციის წარმომადგენელი შეფასების ურთიერთშეთანხმებული ინსტრუმენტების საშუალებით.

სამაგისტრო და სადოქტორო საფეხურზე სწავლების მეთოდოლოგია ორიენტირებული უნდა იყოს კვლევაზე, რასაც წინ უნდა უძღოდეს კვლევითი კომპეტენციის განმავითარებელი კურსები.

კვლევითი კომპონენტი, ისევე როგორც პრაქტიკისა, გამჭოლად უნდა გასდევდეს პროგრამას. მისი თანმიმდევრული განხორციელება უნდა უზრუნველყოფდეს სტუდენტებში კვლევითი და სამეცნიერო უნარების განვითარებას, რაც პროგრამის დასკვნით ეტაპზე სამეცნიერო კვლევითი პროექტითა და ნაშრომით დადასტურდება.

დასკვნითი სამაგისრტო/სადოქტორო კვლევითი ნაშრომი სტუდენტის მიერ პროგრამაზე სწავლის პერიოდში მიღებული თეორიული ცოდნის, კვლევითი და შესაბამისი კვლევის დიზაინის გათვალისწინებით, პრაქტიკული უნარების შემაჯამებელი მტკიცებულებაა. შეიძლება ითქვას, რომ კვლევით სამაგისტრო/სადოქტორო ნაშრომში აკუმულირებულია პროგრამის კვლევითი კომპონენტის სწავლის შედეგები. აქედან გამომდინარე, კვლევითი ნაშრომის შეფასების შედეგები და მათი ანალიზი შეიძლება კვლევითი კომპონენტის სწავლის შედეგების შეფასებისთვისაც გამოვიყენოთ.

პროგრამაში კვლევითი კომპონენტი ისე უნდა იყოს სტრუქტურირებული, რომ უზრუნველყოფდეს სტუდენტის მომზადებას დასკვნითი კვლევითი ნაშრომის დაგეგმვისა და ჩატარებისთვის. სამაგისტრო/სადოქტორო ნაშრომის მომზადებას წინ უნდა უძღოდეს კვლევითი უნარების განმავითარებელი თეორიული და პრაქტიკული კურსები, რომლებიც დარგის შესაბამისი კვლევის მეთოდების შესწავლასა და კვლევითი ინტერესების ჩამოყალიბებაში დაეხმარება სტუდენტებს.

2.5 სწავლა-სწავლების მეთოდები

ცნება "მეთოდი" სხვადასხვა ვითარებაში განსხვავებულად აღიქმება, მაგრამ ყოველთვის იგულისხმება მიზნის მისაღწევი გზები. სწავლების მეთოდი არის ლექტორის მიზანმიმართული ქმედება შემსწავლელებში შესაბამისი კომპეტენციის განსავითარებლად. თანამედროვე საგანმანათლებლო პარადიგმა დაფუძნებულია სტუდენტზე ორიენტირებული სწავლების პრინციპებზე, რომლებიც მიიღწევა ინტერაქტიული სწავლებით.

<u>ინტერაქტიული სწავლება</u> არის თანამედროვე საგანმანათლებლო სისტემა, რომელიც ეყრდნობა პედაგოგისა და სტუდენტის ახალი როლების ძიებასა და ჰუმანიზმის პრინციპებს. ის მიზნად ისახავს პედაგოგზე ორიენტირებული ავტორიტარული სასწავლო პროცესის შეცვლას სტუდენტზე ორიენტირებული სასწავლო პროცესით, რომელიც ითვალისწინებს ამ უკანასკნელის ინტერესებსა და მოთხოვნილებებს. ინტერაქტიულ სწავლებას შემოაქვს პედაგოგიკაში სწავლებისა და ცოდნის შეფასების ახალი სტრატეგიები.

შესატყვისად, იცვლება სწავლების მიზანი. იგი ორიენტირებული ხდება არა მხოლოდ მზა ცოდნის მიღებაზე, არამედ უნარ-ჩვევების გამომუშავებაზე.

სტუდენტი ინტერაქტიული სწავლების სუბიექტია, მისი აქტიური მონაწილეა. სწავლების საფუძველია სტუდენტის პირადი გამოცდილება, მისი თვისებები და ცოდნა.

სწავლების პროცესისადმი ეს ახალი მიდგომა ეყრდნობა მნიშვნელოვან საგანმანათლებლო მიმდინარეობას - *კონსტრუქტივიზმს*. კონსტრუქტივიზმის ძირითადი იდეა ისაა, რომ დავეხმაროთ სტუდენტებს ძველი და ახალი ცოდნის შედარების მეშვეობით ახალი ინფორმაციის შეგროვებაში, დასკვნების დამოუკიდებლად გამოტანაში, დამოუკიდებლად აზროვნებაში, ცოდნის კონსტრუირება-შენებაში.

კონსტრუქტივიზმის მიხედვით, სტუდენტი სწავლის პროცესის აქტიური მონაწილეა. სწავლების კონსტრუქტივისტული მეთოდოლოგია გულისხმობს სწავლების პროცესში სტუდენტთა ინტერესებისა და მოთხოვნილებების მაქსიმალურად გათვალისწინებას, მათ წახალისებას, რათა შეძლონ ფაქტების, მოვლენების, ცნებების ანალიზი და ინტერპრეტაცია. კონსტრუქტივისტული თეორიის მიმდევრები უპირატესობას ანიჭებენ ისეთ სასწავლო გეგმებს, რომლებიც სტუდენტთა ინტერესებზე, მათ წინა ცოდნასა და გამოცდილებაზეა აგებული.

სწავლების მეთოდების შერჩევისას უნდა განისაზღვროს სასწავლო კურსის მიზანი და სავარაუდო შედეგი - რა უნდა იცოდეს და რისი გაკეთება შეძლოს სტუდენტმა. ამის გათვალისწინებით კი შეირჩეს სტუდენტზე ორიენტირებული სწავლა-სწავლების მეთოდები.

საგანმანათლებლო ლიტერატურაში სწავლების მეთოდების სხვადასხვა კლასიფიკაციას შეხვდებით. ერთ-ერთი კლასიფიკაციით ისინი ორ ჯგუფად იყოფა: მეთოდები, რომლებიც ხელს უწყობს კონკრეტული მასალის ათვისებას და მეთოდები, რომლებიც ავითარებს ზოგად/ტრანსფერულ უნარებს. თუმცა, ეს დაყოფა პირობითია, რადგან მეთოდთა უმრავლესობა სტუდენტებს ცოდნასთან ერთად ზოგადი კომპეტენციის განვითარებაშიც ეხმარება.

მეთოდის შერჩევისას უნდა დავფიქრდეთ:

- დაგვეხმარება თუ არა ჩვენ მიერ შერჩეული მეთოდი დასახული შედეგის მიღწევაში;
- შეესაბამება თუ არა ჩვენ მიერ შერჩეული მეთოდი აქტივობას;
- შეესაბამება თუ არა ჩვენ მიერ შერჩეული მეთოდი სტუდენტთა ინტერესებსა და გამოცდილებას;
- ტექნიკურად შესაძლებელია თუ არა მისი განხორციელება (ხელმისაწვდომია თუ არა რესურსები; გვეყოფა თუ არა დრო, შესაძლებელია თუ არა ამ რაოდენობის სტუდენტებით მეთოდის ეფექტიანად განხორციელება).

სწავლა-სწავლების მეთოდების შერჩევისას გასათვალისწინებელია სწავლების საფეხურიც. საბაკალავრო საფეხურიდან სამაგისტრო და სადოქტორო საფეხურზე გადასვლასთან ერთად, უფრო ინტენსიური უნდა გახდეს პრობლემასა და კვლევაზე დაფუძნებული სწავლების მიდგომების გამოყენება, რაც ხელს შეუწყობს სტუდენტებს, რომ გამოიმუშაონ კვლევის დამოუკიდებლად დაგეგმვისა და განხორციელების უნარი.

სწავლა-სწავლების მეთოდების შერჩევისას გათვალისწინებული უნდა იყოს სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები და ინტერესები, მათ შორის, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე და უცხოელი სტუდენტებისა.

სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტებისთვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებისას გათვალისწინებული უნდა იყოს სასწავლო პროცესის ადაპტირებულ გარემოში განხორციელების შესაძლებლობა და, საჭიროების შემთხვევაში, სტუდენტის შეფასებისა და შეფასების საფუძველზე ინდივიდუალური სასწავლო გეგმის

შემუშავების პროცესში შესაბამისი ადამიანური რესურსით უზრუნველყოფა. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა აგრეთვე შეიძლება შეიქმნას უნივერსიტეტის მიერ ინიცირებული საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაშიც.

უცხოელი სტუდენტების არსებობის შემთხვევაში, პროგრამა უნდა იძლეოდეს შესაძლებლობას, რომ მათ დამატებითი სერვისები შევთავაზოთ - პროგრამის კონკრეტული კომპონენტის გაძლიერებით ან დამატებით, მათთვის დავალებებისა და შესაბამისად, შეფასების წესის ადაპტირებით და სხვ.

სასურველია, უნივერსიტეტმა შეიმუშაოს სტუდენტთა აკადემიური მოსწრების მონიტორინგის მექანიზმი, რომელიც ითვალისწინებს დაბალი აკადემიური მოსწრების სტუდენტთა მაჩვენებლის გამოვლენას. ამ მაჩვენებლის გათვალისწინებით დაიგეგმოს შესაბამისი აკადემიური მხარდაჭერის აქტივობები (ტუტორინგი, სასემინარო მუშაობის მოცულობის ზრდა, სპეციფიკური წერითი თუ რაოდენობრივი უნარების განმავითარებელი კომპონენტების გაძლიერება და სხვა).

2.6 სტუდენტების შეფასება

შეფასება არის რაიმე საგნის, მოვლენის, პროცესის ან ვინმეს შესაბამისობის/მიმართების დადგენა წინასწარ განსაზღვრულ ნიშან-თვისებებთან (კრიტერიუმებთან). შეფასების მიზანია იმის გარკვევა, თუ რამდენად არის მიღწეული კურიკულიმითა და თითოეული სასწავლო კურსით განსაზღვრული შედეგი.

შეფასება აღნუსხავს იმ შედეგებს, რომლებსაც იძლევა მთლიანი სასწავლო პროცესი, ხოლო ამ შედეგების ანალიზი აუცილებელია იმავე სასწავლო პროცესის კორექტირებისა და უკეთ წარმართვისათვის; ე.ი. შეფასება არის ის საფუძველი, რომელსაც უნდა ემყარებოდეს ლოგიკური გადაწყვეტილება სწავლებისა და სწავლის ხარისხის ამაღლებისათვის.

მაშასადამე, სასწავლო პროცესის შეფასება არის სასწავლო მიზნების მიღწევის ხარისხის დამდგენი მონაცემების შეგროვების, აღრიცხვისა და ანალიზის მუდმივი პროცესი, სტუდენტთა წარმატებისა და პროგრესის თანამიმდევრული შესწავლა.

სტუდენტთა შეფასება უნდა იყოს მრავალკომპონენტიანი და უნდა უზრუნველყოფდეს თითოეული კურსის მიზნებისა და სწავლის შედეგების შეფასებას, რაც მიიღწევა კონკრეტული და გაზომვადი კრიტერიუმებისა და რუბრიკების გამოყენებით.

სტუდენტთა შეფასება უნდა ეფუძნებოდეს შეფასების ოთხ ძირითად პრინციპს: *ობიექტურობა, სანდოობა, ვალიდურობაბა, გამჭვირვალობა,* რომელთაც განვიხილავთ დაწვრილებით.

დადგენილი პროცედურების შესაბამისად, შეფასება 100-ქულიანი სისტემით უნდა მიმდინარეობდეს. ქულები გადანაწილებულია და განისაზღვრება ამგვარად:

(A) ფრიადი - შეფასების 91-100 ქულა;

(B) ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;

(C) კარგი - მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;

(D) დამაკმაყოფილებელი - მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;

(E) საკმარისი - მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა;

(FX) ვერ ჩააბარა, მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;

(F) ჩაიჭრა, მაქსიმალური შეფასების 40 ქულა ან ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

სტუდენტთა შეფასებისას გამოიყენება ორი ტიპის შეფასება: **განმსაზღვრელი** და **განმავითარებელი.**

განმსაზღვრელი შეფასების მიზანია სტუდენტის მიღწევის ზუსტი შეფასება. იგი აკონტროლებს სწავლის ხარისხს, ადგენს სტუდენტის მიღწევის დონეს სასწავლო კურსით განსაზღვრულ მიზნებთან მიმართებით.

განმავითარებელი შეფასება, როგორც ტერმინი მიუთითებს, სტუდენტის განვითარებაზეა მიმართული; ამ შეფასებით კონტროლდება თითოეული სტუდენტის განვითარების დინამიკა და ის ხელს უწყობს სწავლის ხარისხის გაუმჯობესებას.

განმავითარებელი შეფასება/უკუკავშირი ლექტორს ეხმარება სასწავლო პროცესის დაგეგმვაში, ხოლო სტუდენტს - მიღწევებთან დაკავშირებით უკუკავშირის მიღებაში. განმავითარებელი

შეფასება სწავლების განუყრელი ნაწილია. განმავითარებელი შეფასება ორიენტირებულია პროცესზე.

მაშასადამე, მაშინ, როდესაც განმსაზღვრელი შეფასება ყოველთვის „ფორმალურია“ და მასში ქულა იწერება, განმავითარებელი შეფასება შესაძლებელია „არაფორმალური“ იყოს.

თავის მხრივ, განმსაზღვრელი შეფასება შეიძლება იყოს მიმდინარე/შუალედური და შემაჯამებელი/დასკვნითი.

სასწავლო კურსი რამდენიმე კომპონენტით უნდა ფასდებოდეს (შუალედური შეფასებები და ერთი დასკვნითი შეფასება). შუალედური შეფასება სტუდენტის ცოდნის შეფასებაა სემესტრის სალექციო-სასემინარო ან/და პრაქტიკული მეცადინეობისთვის განსაზღვრულ პერიოდში. დასკვნითი შეფასება ითვალისწინებს სტუდენტის შეფასებას სემესტრის ბოლოს, საგამოცდო პერიოდში.

შუალედური და დასკვნითი შეფასებებისთვის განსაზღვრული უნდა იყოს მინიმალური კომპეტენციების ზღვარი.

კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე და უნივერსიტეტის მიერ შემუშავებული რეგულაციების გათვალისწინებით, შესაძლებელია, განსაზღვრული იყოს მიმდინარე და დასკვნითი შეფასებების ხვედრითი წილი.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, შეფასება უნდა ეყრდნობოდეს ოთხ ძირითად პრინციპს: **სანდოობას, ვალიდურობას, ობიექტურობასა** და **გამჭვირვალობას.**

შეფასება სანდოა, თუ შეფასების შედეგები არ იცვლება, მიუხედავად იმისა, ვინ და როდის აფასებს სტუდენტის ცოდნასა და უნარებს. მაგ., შეფასება სანდო იქნება, თუ სხვადასხვა პედაგოგი სტუდენტის ერთსა და იმავე პასუხს ერთნაირად შეაფასებს ან ერთი პედაგოგი ერთსა და იმავე პასუხს სხვადასხვა დროს ერთნაირად შეაფასებს.

ამდენად, შეფასების სანდოობის უზრუნველსაყოფად, მნიშვნელოვანია სტუდენტის შეფასების პროცესში მონაწილეობდეს ერთზე მეტი შემფასებელი.

შეფასების სანდოობის უზრუნველყოფა შესაძლებელია კონკრეტულად ჩამოყალიბებული შეფასების კრიტერიუმების გამოყენებით.

<u>**სტრატეგიები, რომლებიც ზრდის შეფასების სანდოობას:**</u>

- შესაფასებელი დავალება ფორმულირებული უნდა იყოს ნათლად და გასაგებად;

- დავალებას უნდა ახლდეს ზუსტი ინსტრუქცია;
- შეფასებისას გამოყენებული უნდა იყოს სხვადასხვა ინსტრუმენტი, რომლებიც ერთმანეთს ავსებენ;
- შეფასების სქემა უნდა იყო ნათლად და გასაგებად ფორმულირებული;
- სტუდენტები უნდა შეფასდნენ მსგავს პირობებსა და სიტუაციაში;
- შემფასებელი/შემფასებლები უნდა იყოს/იყვნენ კვალიფიციური და მიუკერძოებელი.

სანდოობის მისაღწევად, სასურველია, შეფასების განმეორება გარკვეულ პერიოდში. მონაცემები სანდოა, თუ შედეგი განმეორებადია.

შეფასების ვალიდურობას სხვანაირად შეფასების მიზანთან შესაბამისობას უწოდებენ. თუ ლექტორი აფასებს ზუსტად იმას, რის შეფასებასაც იგი ამ კონკრეტულ შემთხვევაში ისახავს მიზნად, შეფასების ვალიდურობა უზრუნველყოფილია.

<u>**სტრატეგიები, რომლებიც ზრდის შეფასების ვალიდურობას:**</u>

- ლექტორმა უნდა შეარჩიოს სტუდენტის ცოდნისა და უნარების მაქსიმალურად ადეკვატური შეფასების ფორმა;
- პედაგოგმა უნდა შეარჩიოს დავალებები, რომლებიც სტუდენტმა საგნის ფარგლებში ისწავლა.

შეფასება ობიექტურია, თუ შეფასების შედეგი არ არის დამოკიდებული ლექტორის პირად მოსაზრებასა და დამოკიდებულებებზე. შეფასების ობიექტურობის დაცვა უნდა ხდებოდეს წინასწარ შემუშავებული და შეთანხმებული კრიტერიუმების საფუძველზე. სტუდენტმა უნდა იცოდეს, რა კრიტერიუმებით შეაფასებენ მის სასწავლო საქმიანობას. ეს, ერთი მხრივ, უზრუნველყოფს შეფასების ობიექტურობას, ხოლო, მეორე მხრივ, ხელს შეუწყობს სტუდენტებში თვითშეფასების უნარის განვითარებას, საკუთარი ძლიერი და სუსტი მხარეების იდენტიფიცირებას.

<u>**სტრატეგიები, რომლებიც ზრდის შეფასების ობიექტურობას:**</u>

- ლექტორმა კურიკულუმით და სასწავლო კურსით გათვალისწინებული შედეგების მიხედვით უნდა ჩამოაყალიბოს შეფასების კრიტერიუმები.

შეფასება გამჭვირვალეა, ანუ ღიაა, იმ შემთხვევაში, როდესაც შეფასების მექანიზმები და კრიტერიუმები წინასწარ არის არა მარტო სტუდენტებისთვის, არამედ სხვა ყველა დაინტერესებული პირისათვის ცნობილი.

<u>**სტრატეგიები, რომლებიც ზრდის შეფასების გამჭვირვალეობას-ღიაობას:**</u>

ლექტორმა საგნის სწავლებისას სტუდენტებს უნდა გააცნოს და ერთად გააანალიზონ შეფასების კრიტერიუმები;

იმისათვის რომ ლექტორმა დაიცვას შეფასების ძირითადი პრინციპები, შეფასებისას იგი უნდა ეყრდნობოდეს წინასწარ განსაზღვრულ სწავლების მიზანსა და დავალების ფორმაზე ორიენტირებულ, ზუსტ, მკაფიო კრიტერიუმებს და მასზე დაყრდნობით შემუშავებულ შეფასების სქემებს/რუბრიკებს.

კრიტერიუმები ლექტორს საშუალებას აძლევს გაიზომოს სასწავლო შედეგი და მისი მიღწევის ხარისხი.

შეფასების **სქემა/რუბრიკა** არის მკაცრად განსაზღვრული კრიტერიუმებისა და მათი გამოყენების წესების ერთობლიობა, რომლის მიხედვითაც ფასდება სტუდენტის მოსწრება ამა თუ იმ აქტივობასა ან საგანში; მაგ.: საკითხის ცოდნა, ანალიზი, შესრულების ხარისხი და ა.შ.

ასხვავებენ შეფასების ანალიტიკურ, ჰოლისტურ, ზოგად და კონკრეტულ სქემებს/რუბრიკებს.

განვიხილოთ ისინი ცალ-ცალკე.

როდესაც ჩვენ ვაფასებთ თითოეულ კრიტერიუმს ცალ-ცალკე, მაშინ საქმე გვაქვს შეფასების ანალიტიკურ სქემასთან/რუბრიკასთან.

არის შემთხვევები, როდესაც შეფასების სქემის დაყოფა ორ ან მეტ დამოუკიდებელ მახასიათებლად აუცილებელი არ არის ან უბრალოდ ვერ ხერხდება. ასეთ შემთხვევაში შემფასებელი ქმნის ან იყენებს **ჰოლისტური** შეფასების სქემას/რუბრიკას. **ჰოლისტური** შეფასების სქემის გრაფებში გაერთიანებულია ყველა კრიტერიუმი და მახასიათებელი, რომელთა მიხედვითაც ლექტორს სურს სტუდენტის ნამუშევარი შეაფასოს. სტუდენტის პასუხის ხარისხი ფასდება ზოგადად და არა კონკრეტული მახასიათებლების მიხედვით.

ჰოლისტურ რუბრიკაში ასახულია შესრულების ხარისხის ცვლილება **სრულყოფილი შესრულებიდან არადამაკმაყოფილებელ შესრულებამდე.**

შეფასების რომელი ტიპის რუბრიკა (ანალიტიკური თუ ჰოლისტური) იძლევა უფრო სანდო და ობიექტური შეფასების საშუალებას? ერთმნიშვნელოვნად რომელიმე ტიპის რუბრიკისთვის უპირატესობის მინიჭება გაგვიჭირდება. ჰოლისტური რუბრიკით სარგებლობა ლექტორისთვის უფრო ადვილია, მაგრამ ამ ტიპის რუბრიკით სარგებლობა გამსწორებლის გამოცდილებას და მის მაღალ კვალიფიკაციას მოითხოვს. არის საფრთხე, რომ შემფასებელმა ჰოლისტური რუბრიკით შეფასებისას ყურადღება არ მიაქციოს სტუდენტის შედეგებს რომელიმე კატეგორიაში და სტუდენტი მხოლოდ ნაწილი მახასიათებლებით შეაფასოს, რაც გამოიწვევს შეფასების არაობიექტურობას. როდესაც შეფასების რუბრიკა ჩაშლილია ცაკლეულ კრიტერიუმებად (ანალიტიკური რუბრიკა) და თითოეული კრიტერიუმი ცალ-ცალკე ფასდება, ამ საშიშროებისგან დაზღვეულები ვართ.

შეფასების სქემები ლექტორმა შეიძლება შექმნას რამდენიმე მიზნით. იმის მიხედვით, თუ რა მიზნით აწარმოებს იგი შეფასებას, არსებობს შეფასების შემდეგი სქემები:

- **ზოგადი შეფასების სქემა** - გამოიყენება უნარ-ჩვევათა ერთობლიობის შესაფასებლად;
- **კონკრეტული შეფასების სქემა** - გამოიყენება ერთი კონკრეტული საკითხის/დავალების შესაფასებლად;
- **ზოგად-კონკრეტული შეფასების სქემა** - მისი მიზანია როგორც ზოგადი უნარ-ჩვევების, ასევე კონკრეტული საკითხის/დავალების შეფასება.

შეფასების სქემების მრავალფეროვნების მიუხედავად, მოთხოვნები ერთნაირია:

- რუბრიკები/კრიტერიუმები ერთმნიშვნელოვნად და მკაფიოდ უნდა იყოს ჩამოყალიბებული **(ე.ი., უნდა იყოს სანდო);**
- შეფასების სქემა უნდა ამოწმებდეს მხოლოდ იმას, რის შემოწმებასაც ისახავს მიზნად და სხვას არაფერს **(ე.ი., უნდა იყოს ვალიდური);**
- სტუდენტები წინასწარ უნდა იცნობდნენ იმ შეფასების სქემას, რომლითაც მათი ცოდნა ფასდება **(ე.ი., უნდა იყოს გამჭირვალე).**

შეფასების ახალი სქემის შედგენისას პედაგოგმა უნდა გაითვალისწინოს შემდეგი:

1. განსაზღვროს შეფასების სქემის მიზანი;
2. შეადგინოს შეფასების ძირითადი კრიტერიუმები;

3. შეადგინოს მაქსიმალური და მინიმალური ქულების მახასიათებლები;
4. განსაზღვროს დონეების რაოდენობა; დონეები ერთმანეთისაგან ხარისხობრივად უნდა განსხვავდებოდეს; დონეების მახასიათებლები უნდა იყოს კონკრეტული.
5. კოლეგებთან ერთად გააკეთოს შეფასების სქემის პილოტირება; ე.ი., ისინი ერთდროულად, მაგრამ ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად, აფასებენ ერთსა და იმავე აქტივობას შეფასების სქემის მიხედვით და ერთმანეთს ადარებენ მიღებულ შედეგებს. განსხვავებული შედეგების მიღების შემთხვევაში, პედაგოგები ურთიერთთანამშრომლობით ხვეწენ შეფასების სქემებს.

გთავაზობთ პროექტის ანალიტიკური შეფასების სქემის/რუბრიკის ნიმუშს.

კრიტერიუმი	**სრულად შეესაბამება** **5 ქულა**	**შეესაბამება** **4-3 ქულა**	**ნაკლებად შეესაბამება** **2-1 ქულა**	**არ შეესაბამება** **0 ქულა**
მიზანი და პრობლემა კონკრეტული, მიღწევადი, ნათელი და გაზომვადია მიზანი. აქტუალურია საპროექტო თემა. აქტუალობა ცხადად და დამაჯერებლად არის დასაბუთებული.				
ამოცანები თითოეული ამოცანა შეესაბამება პროექტის მიზანს. გათვლილია თითოეული ამოცანის განხორციელების დროს შესაძლო რისკები და რისკების პრევენციისთვის შესაბამისი ღონისძიებები.				
შედეგი აღნიშნული შედეგის მიღწევა რეალურია და იგი შეესაბამება მიზანს. არგუმენტირებულად დასაბუთებულია მიღწეული შედეგის გავლენა.				

რესურსები ზუსტად არის განსაზღვრული ის მატერიალური და ადამიანური რესურსები, რომლებიც არის საჭირო პროექტით გათვალისწინებული საქმიანობებისათვის.				
დიზაინი პროექტი აგებულია თანმიმდევრულად და ლოგიკურად.				

გთავაზობთ შემთხვევის (ე.წ. ქეისის) ჰოლისტური შეფასების სქემის/რუბრიკის ნიმუშს.

- სიტუაციაში მოცემული პრობლემა ზუსტად არის იდენტიფიცირებული. ანალიზი სრულყოფილად არის წარმოდგენილი. ჩანს პრობლემასთან დაკავშირებული თეორიული მასალის სრულყოფილი ცოდნა, რომელიც ადეკვატურია კონკრეტული სიტუაციისა. ანალიზში ნაჩვენებია პრობლემიდან გამომდინარე არასასურველი შედეგები. რეკომენდაციები სრულად ემსახურება პრობლემის გადაჭრას. მოცემულია ის სასურველი შედეგები, რომელებიც პრობლემის გადაჭრის შედეგად მიიღწევა (5 ქულა).
- სიტუაციაში მოცემული პრობლემა იდენტიფიცირებულია. ანალიზი წარმოდგენილია, თუმცა არ არის სრულყოფილი. პრობლემასთან დაკავშირებული თეორიული მასალა მოცემულია, მაგრამ ნაკლებად არის დაკავშირებული კონკრეტულ სიტუაციასთან. ანალიზში ნაჩვენებია პრობლემიდან გამომდინარე არასასურველი შედეგები, მოცემულია რეკომენდაციები, რომლებიც ემსახურება პრობლემის გადაჭრას, მაგრამ არ არის მოცემული ან არასრულად არის ის სასურველი შედეგები, რომლებიც მოჰყვება პრობლემის გადაჭრას (4 ქულა).
- სიტუაციაში მოცემული პრობლემა მეტ-ნაკლები სიზუსტით არის იდენტიფიცირებული. ანალიზი წარმოდგენილია, თუმცა არ არის სრულყოფილი. პრობლემასთან დაკავშირებული თეორიული მასალა მწირია და ნაკლებად არის დაკავშირებული კონკრეტულ სიტუაციასთან. ანალიზში არ არის ნაჩვენები პრობლემიდან გამომდინარე არასასურველი შედეგები. არასრულად არის მოცემული რეკომენდაციები, რომლებიც ემსახურება პრობლემის გადაჭრას. არ არის მოცემული,

ან არასრულად არის ის სასურველი შედეგები, რომლებიც მოჰყვება პრობლემის გადაჭრას (3 ქულა).

- სიტუაციაში მოცემული პრობლემა მეტ-ნაკლები სიზუსტით არის იდენტიფიცირებული. ანალიზი არ არის წარმოდგენილი, მოცემულია მხოლოდ შემთხვევის (ე.წ. ქეისის) პერიფრაზი. პრობლემასთან დაკავშირებული თეორიული მასალის ცოდნა არ ჩანს. ანალიზში არ არის ნაჩვენები პრობლემიდან გამომდინარე არასასურველი შედეგები. რეკომენდაციები, რომლებიც ემსახურება პრობლემის გადაჭრას ძალიან მწირია და ისიც ზოგადი და არაფრისმომცემი. არ არის მოცემული ან არასრულად არის ის სასურველი შედეგები, რომლებიც მოჰყვება პრობლემის გადაჭრას (2 -1ქულა).
- სიტუაციაში მოცემული პრობლემა არასწორად არის იდენტიფიცირებული. ანალიზი არ არის მოცემული, თუ მოცემულია - არასწორად. პრობლემასთან დაკავშირებული თეორიული მასალის ცოდნა და კონკრეტულ სიტუაციასთან დაკავშირება არ ჩანს. ანალიზში არ არის ნაჩვენები პრობლემიდან გამომდინარე არასასურველი შედეგები. არ არის ან არასწორად არის რეკომენდაციები, რომლებიც ემსახურება პრობლემის გადაჭრას. არ ჩანს ის სასურველი შედეგები, რომლებიც ემსახურება პრობლემის გადაჭრას (0 ქულა).

საგანამანთლებლო დაწესებულებაში უნდა მოქმედებდეს შეფასების თანასწორი და სამართლიანი სისტემა, აგრეთვე - შეფასების გასაჩივრების მექანიზმი, რომელიც მისცემს სტუდენტს შესაძლებლობას, საფუძვლიანი ეჭვის შემთხვევაში, საპრეტენზიო განაცხადით მიმართოს ფაკულტეტს/სკოლას საპრეტენზიო კომისიის შექმნის და შესაბამისი პროცედურების ინიცირების მოთხოვნით.

აღსანიშნავია, რომ სასწავლო კურსების სისტემური შეფასების ფარგლებში გათვალისწინებული უნდა იყოს სტუდენტთა მხრიდან უკუკავშირის მიღება კურსით განსაზღვრული შეფასების სისტემის ეფექტიანობის შესახებ. უკუკავშირის შედეგები ხელმისაწვდომი უნდა იყოს ლექტორთათვის, აგრეთვე ფაკულტეტის/სკოლის ადმინისტრაციისთვის და გამოყენებულ უნდა იქნეს კურსის შეფასების სისტემის გაუმჯობესების მიზნით.

პროგრამაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალი უნდა ფლობდეს სათანადო ცოდნას შეფასების თანამედროვე მეთოდებთან დაკავშირებით. ამასთან ერთად, სასწავლო კურსების შედგენის, მათი განახლების და გაუმჯობესების პროცესში პროგრამაში ჩართული პერსონალი უნდა იღებდეს კონსულტაციებსა და მხარდაჭერას უნივერსიტეტის ადმინისტრაციისგან სხვადასხვა საკითხებთან დაკავშირებით, მათ შორის, შეფასების მექანიზმებისა და მიდგომების შესახებ.

სადისერტაციო ნაშრომის მაღალი სტანდარტის უზრუნველსაყოფად, პროგრამის ფარგლებში შემუშავებული უნდა იყოს სადისერტაციო ნაშრომის (საბაკლავრო, სამაგისტრო, სადოქტორო ნაშრომის) დოკუმენტი, რომელიც დეტალურად უნდა აღწერდეს სადისერტაციო ნაშრომის დაცვისა და შეფასების პროცედურებსა და შეფასების კრიტერიუმებს.

საკვალიფიკაციო ნაშრომის დოკუმენტში გათვალისწინებული უნდა იყოს ეტაპობრივი და თანმიმდევრული პროცესები, რაც გულისხმობს კვლევითი პროცესების სისტემატიზაციას, შუალედური კვლევითი ანგარიშების წარდგენასა და აკადემიური ხარისხის მაძიებლისთვის ხელმძღვანელის მხრიდან პერიოდული უკუკავშირის მიწოდებას.

ნებისმიერ დაინტერესებულ პირს საშუალება უნდა ჰქონდეს დაესწროს სადისერტაციო ნაშრომის დაცვასა და ჩაერთოს მის ირგვლივ გამართულ დისკუსიაში.

ნაშრომის დაცვის კომისიის შემადგენლობაში, სასურველია, შედიოდნენ როგორც პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადმიური და მოწვეული პერსონალი, ასევე - გარე ექსპერტები.

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

3.1. სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება

უსდ უნდა სთავაზობდეს სტუდენტებს საკონსულტაციო მომსახურებას, რაც ხელს შეუწყობს მათ განვითარებასა და სწავლის შედეგების მიღწევას. საკონსულტაციო მომსახურების მიწოდებისას უნდა გაითვალისწინონ სტუდენტთა საჭიროებები და თავისებურებები (განსაკუთრებით საერთაშორისო სტუდენტების არსებობის შემთხვევაში). ასევე ძალიან მნიშვნელოვანია, რომ სტუდენტები ინფორმირებული იყვნენ იმ საკონსულტაციო სერვისების შესახებ, რომლებსაც მათ უსდ სთავაზობს.

სტუდენტს კონსულტაციას უნდა უწევდეს აკადემიური და/ან ადმინისტრაციული პერსონალი, რომელიც მას დაეხმარება სასწავლო კურსების შერჩევაში, მათი თანმიმდევრობის განსაზღვრაში, სტაჟირებისა და პრაქტიკის სწორ შერჩევასა და მსგავს აკადემიურ საკითხებში.

3.2. მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა

მაგისტრატურისა და დოქტორანტურის თითოეულ სტუდენტს უნდა ჰყავდეს კვალიფიციური ხელმძღვანელი და საჭიროების შემთხვევაში ერთი ან მეტი თანახელმძღვანელი, რომელსაც აქვს საკვლევი თემის შესაბამისი სამეცნიერო-კვლევითი გამოცდილება. სასურველია უსდ-ს განსაზღვრული ჰქონდეს, თუ რამდენი მაგისტრანტის და/ან დოქტორანტის ხელმძღვანელობა შეუძლია ერთ პროფესორს ერთდროულად. ასევე, სასურველია განსაზღვრული იყოს, თუ რა საკვალიფიკაციო მოთხოვნებს უნდა აკმაყოფილებდეს აკადემიური პერსონალი იმისათვის, რომ ისინი უფლებამოსილნი იყვნენ უხელმღვანელონ სტუდენტს სამაგისტრო/სადისერტაციო ნაშრომზე მუშაობისას. მნიშვნელოვანია ხდებოდეს სტუდენტებისგან უკუკავშირის მიღება იმის თაობაზე, თუ რამდენად კმაყოფილი არიან ისინი ხელმძღვანელთან მუშაობით.

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

4.1. ადამიანური რესურსი

აკრედიტაციის სტანდარტის თანახმად, ადამიანური რესურსები უნდა უზრუნველყოფდეს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტურ ფუნქციონირებასა და განსაზღვრული მიზნების მიღწევას. ადამიანური რესურსების მართვის ნაწილი ამ სტანდარტში გრაფიკულად შესაძლოა შემდეგნაირად წარმოვიდგინოთ.



ადამიანური რესურსები - პროგრამის განმახორციელებელი პირების კვალიფიკაცია

უნივერსიტეტის სტრატეგიული პრიორიტეტია მიიზიდოს მაღალი ხარისხის აკადემიური პერსონალი. იმისათვის რომ პროგრამა განხორციელდეს, მასში ჩართული უნდა იყოს შესაბამისი რაოდენობისა და კვალიფიკაციის აკადემიური პერსნალი, რომელიც უზრუნველყოფს სტუდენტებისთვის პროგრამის სწავლის შედეგების გამომუშავებას. აკრედიტაციის სტანდარტი აღწერს, რომ საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელ პირებს უნდა ჰქონდეთ შესაბამისი კვალიფიკაცია. ამ მიზნით, უნივერსიტეტს უნდა გააჩნდეს აკადემიური პერსონალის შერჩევის, დანიშვნის და მათი აკადემიური განვითარების შესახებ ინფორმაციის მოპოვების და ასახვის პოლიტიკა.

პოლიტიკა უნდა აღწერდეს აკადემიური პერსონალის შერჩევის ეტაპებსა და პროცედურებს, რომელშიც გაწერილი უნდა იყოს ზოგადი რეგულაციები აკადემიური/სამეცნიერო პერსონალის კვალიფიკაციის დადასტურების შესახებ, მოწვეული პერსონალის ან მასწავლებლის კვალიფიკაციის დადასტუდების შესახებ, მაგისტრანტის და დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელის აუცილებელი მოთხოვნების შესახებ.

ყველა დარგის სპეციფიკიდან გამომდინარე, სამსახურებრივი აღწერები და საკვალიფიკაციო მოთხოვნები უნდა განისაზღვროს დეპარტამენტის ან პროგრამის დონეზე, რაც შემდგომ უნდა განთავსდეს ადამიანური რესურსების მართვის ერთიან ბაზაში.

პროგრამის განმახორციელებელი პირების შერჩევის პროცედურა უნდა იყოს გამჭვირვალობის და სამართლიანობის პრინციპებზე დაფუძნებული. ადამიანური რესურსების სამსახური უნდა ინახავდეს საკონკურსო მასალებსა და მონაცემებს გამოცხადებული ვაკანსიების შესახებ. ადამიანური რესურსების მართვის სამსახურს უნდა ჰქონდეს მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს პროგრამის განმახორციელებელი პირების აკადემიური განვითარების, ახალი შრომებისა და პუბლიკაციების შესახებ ინფორმაციის ასახვას და მუდმივ განახლებას მათ ბაზებში. ასევე მუდმივად უნდა ხდებოდეს საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან პერსონალის შესაბამისობის დადგენა. ეს ყოველივე საშუალებას იძლევა შეიქმნეს პროგრამის განმახორციელებელი პირების რეიტინგი.

უნივერსიტეტის ვებგვერდს უნდა ჰქონდეს ადამიანური რესურსების განყოფილება, სადაც საჯარო იქნება ადამიანური რესურსების სამსახურის პოლიტიკა, პროცედურები, შემოთავაზებული ტრენინგები, მომსახურე პერსონალის მიმართ მხარდაჭერის ღონისძიებები და ა.შ. (მაგ., შეფილდის უნივერსიტეტი).

ადამიანური რესურსები - აკადემიური/სამეცნიერო, მოწვეული/ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა

ადამიანური რესურსების სამსახურმა პროგრამის ხელმძღვანელებისთვის (და მათთან თანამშრომლობის საფუძველზე), სასურველია, შეიმუშავოს სახელმძღვანელო, რომელიც ასახავს ზოგად პრინციპებს, რეკომენდაციებსა და მეთოდოლოგიას პერსონალის დატვირთვის სქემის შედგენის შესახებ. სახელმძღვანელო უნდა ითვალისწინებდეს ადამიანური რესურსების იმგვარ გადანაწილებას თითოეულ პროგრამაზე, რომლითაც პროგრამის მდგრადობა შენარჩუნდება. სახელმძღვანელო უნდა ითვალისწინებდეს თითოეული პროგრამის მახასიათებლებს და უნდა მოიცავდეს შემდეგს:

- პროგრამის განმახორციელებელი პირების დატვირთვის შედგენის მეთოდოლოგიას და პროცედურებს, რომლებიც ითვალისწინებს მათ დატვირთვას და ვალდებულებებს სხვა დაწესებულებების მიმართ. აქვე მნიშვნელოვანია გამოიყოს მოთხოვნები, რათა დარეგულირდეს ერთ მაგისტრანტის/დოქტორანტის ხელმძღვანელზე სტუდენტების რაოდენობის ზღვრული ოდენობა.
- საუკეთესო პრაქტიკას და რეკომენდებულ მაჩვენებელს, რომელიც არეგულირებს აკადემიური, ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის თანაფარდობას სტუდენტთა რაოდენობასთან (https://www.ucu.org.uk/media/5566/An-analysis-of-studentstaff-ratios-and-academics-use-of-time-and-potential-links-with-student-satisfaction-Dec-12/pdf/ucu_ssranalysis_dec12.pdf; https://stats.oecd.org/Index.aspx?datasetcode=EAG_PERS_RATIO)
- მნიშვნელოვანია პროგრამის განმახორციელებელი პირების (აკადემიური, მოწვეული, საათობრივად ანაზღაურებადი) დატვირთვა ითვალისწინებდეს სტუდენტების კონსულტაციას. უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებამ უნდა უზრუნველყოს სტუდენტების აკადემიური კონსულტაციის კულტურის განვითარება აკადემიურ მოწვეულ პერსონალსა და სტუდენტებს შორის. სტუდენტების კონსულტაციის მექანიზმი არ უნდა შემოიფარგლებოდეს ლექტორთან გამოცდის წინა პერიოდში მიღებული რჩევებითა და უკუკავშირით. მნიშვნელოვანია თითოეულ ფაკულტეტზე არსებობდეს ფაკულტეტის აკადემიური მრჩეველი, რომელიც სტუდენტებს ინფორმაციას მიაწვდის და დაეხმარება მათი კურიკულუმის დაგეგმვასა და კურსების არჩევაში, ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენაში, საზღვარგარეთ

სასწავლებლად გამგზავრებისას სასწავლო გეგმის შედგენასა და თითოეულ კურსის შინაარსში გარკვევაში. აკადემიური მრჩეველი ევროპის საგანმანათლებლო სივრცის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტია უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში (მაგ., ხრონინგენის უნივერსიტეტი, სტოკჰოლმის უნივერსიტეტი; ამსტერდამის უნივერსიტეტი ; გლაზგოს უნივერსიტეტი). რეკომენდებულია უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას ჰქონდეს აკადემიური კონსულტაციის სახელმძღვანელო თითოეულ ფაკულტეტზე, რომელშიც მოცემული იქნება მრჩეველის პასუხისმგებლობები, სტუდენტებთან ურთიერთობის, დაკავშირების პროცედურები და ფორმები, სტუდენტების პასუხისმგებლობები, მრჩეველის თვითშეფასების შეფასების ფურცელი (ე.წ. ჩეკლისტი),რომელიც მას დაეხმარება თვითრეფლექსიაში და ა.შ (http://www.pdc.edu/wp-content/uploads/2014/10/Faculty_Advising_Handbook_March_2017.pdf)

პროგრამის ხელმძღვანელი

აკადემიური პროგრამის ხელმძღვანელი აკადემიური პროცესის შესაბამისად წარმართვის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი რგოლია, რომელიც უზრუნველყოფს პროგრამის განვითარებას უნივერსიტეტის მისიის, ხედვისა და სტრატეგიის გათვალისწინებით. პროგრამის ხელმძღვანელი უზრუნველყოფს პროგრამის განვითარებას, მონაწილეობს პოტენციური სტუდენტების მოზიდვის აქტივობებში, ხელს უწყობს სტუდენტების ინტეგრაციას კარიერულ ცენტრთან, სტუდენტთა აკადემიური მრჩევლის სამსახურთან ინტეგრაციაში, ახორციელებს ინფორმაციის მოთხოვნა/გაცვლას ფაკულტეტთან, სტუდენტებთან, გარე სააგენტოებსა და პარტნიორებთან პროგრამის ფარგლებში, თანამშრომლობს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან, მონაწილეობს პროგრამის შეფასებაში და მიღებული უკუკავშირის საფუძველზე ახორციელებს ცვლილებებს ფაკულტეტთან თანამშრომლობით.

ზემოთ ხსენებულიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანია უნივერსიტეტს ჰქონდეს რეგულაციები, რომლებიც აღწერენ პროგრამის ხელმძღვანელის შერჩევის, შეფასების, კვალიფიკაციის დადასტურების მექანიზმებს. პროგრამის ხელმძღვანელის სამსახურებრივ აღწერაში დეტალურად უნდა იყოს მოცემული იმ აქტივობების, ფუნქციების ჩამონათვალი, რომელბსაც ეს პოზიცია მოიცავს.

4.2. აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის პროფესიული განვითარება

უნივერსიტეტის წარმატების ფუნდამენტი მისივე პერსონალია. პერსონალის განვითარების სტრატეგიული, პროფესიული მიდგომა ხელს უწყობს უნივერსიტეტს, მოიზიდოს და შეინარჩუნოს მისი მიზნების მისაღწევად საჭირო უნარებისა და კომპეტენციის მქონე კადრი. უნივერსიტეტი მიზნად უნდა ისახავდეს, შექმნას გარემო, რომელშიც პერსონალი შეძლებს გამოავლინოს თავისი შესაძლებლობების მაქსიმუმი კვლევისა თუ სწავლების პროცესში. დაწესებულებას უნდა ჰქონდეს პერსონალის განვითარებაზე ორიენტირებული გეგმა (მაგ., ჯორჯიის უნივერსიტეტი, ბრისტოლის უნივერსიტეტი), რომელშიც განსაზღვრული უნდა იყოს შემდეგი:

- ✓ **დასაქმებულთა და დამსაქმებელთა მოლოდინები უწყვეტ პროფესიულ განვითარებასთან დაკავშირებით;**
  სამუშაო აღწერილობების, ინდივიდუალური მიზნებისა თუ ფაკულტეტის/განყოფილების/სამეცნიერო ერთეულის დებულების ცვლილებების გამო უნდა განახლდეს პერსონალის განვითარების გეგმაც. შესაბამისი ცვლილებები უნდა შევიდეს აღნიშნულ გეგმაში და ორივე მხარე - როგორც დასაქმებული, ისე დამსაქმებელი - უნდა შეეგუოს მას.
- ✓ **პერსონალის განვითარების ხელშემწყობი საშუალებები;**
  აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებისათვის აუცილებელი პირობები (მატერიალური, ფინანსური რესურსები და სხვა).
- ✓ **კავშირი უწყვეტ პროფესიულ განვითარებასა და ინსტიტუციურ წახალისებას შორის;**
  უნივერსიტეტმა აკადემიურ, სამეცნიერო და მოწვეულ პერსონალს უნდა შესთავაზოს წახალისება მუდმივი განვითარებისა და პროფესიული კულტურის ამაღლებისათვის, რითაც უზრუნველყოფს პერსონალის მზარდ მოტივაციასა და შრომის ნაყოფიერებას.
- ✓ **დაფინანსების გამჭვირვალე პროცედურები;**
  უნივერსიტეტმა უნდა უზრუნველყოს პერსონალის სხვადასხვა შემეცნებით ღონისძიებებში მონაწილეობის დაფინანსება ღია, გამჭვირვალე და ობიექტური პროცესის გზით. მან თანაბარი შესაძლებლობები უნდა შეუქმნას ყველა დასაქმებულს.
- ✓ **პერსონალის განვითარებისათვის აუცილებელი აქტივობების ჩამონათვალი, რომელიც ეყრდნობა აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის საჭიროებებს.**

ტრენინგები, სამუშაო მივლინებები, კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსები, კონფერენციები, გაცვლითი, საერთაშორისო და/ან ადგილობრივი პროექტები/კვლევები/კონფერენციები, რომლებიც ემსახურება პროფესიულ და/ან სწავლების უნარის განვითარებასა ან/და საერთაშორისო გამოცდილების გაზიარებასა და დანერგვას ადგილობრივ დონეზე.

პროფესიული განვითარება - პროგრამის განმახორციელებელი პირების შეფასება და შედეგების ანალიზი

უნივერსიტეტმა რეგულარულად უნდა აწარმოოს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასება და შემდგომ ამ შეფასების ანალიზი, რომლის შედეგებიც გამოყენებული იქნება პერსონალის განვითარებისა და დაწინაურებისთვის/წახალისებისთვის. უნივერსიტეტი პერსონალის საქმიანობას უნდა აფასებდეს არა მარტო სასწავლო, არამედ კვლევითი მიმართულებითაც.

რეკომენდებულია, უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას შემუშავებული ჰქონდეს პერსონალის შეფასების პოლიტიკა, რომელშიც სრულად იქნება გაწერილი განსახორციელებელი პროცედურების, მათი მიზნებისა და შედეგების შესახებ. (მაგ., მიუნხენის ტექნიკური უნივერსიტეტი, აალტოს უნივერსიტეტი). ჩამოთვლილი უნივერსიტეტების შესაბამისი დოკუმენტების მიხედვით, შეფასების კრიტერიუმები უნდა ეფუძნებოდეს გამჭვირვალობის, პროგნოზირებადობისა და საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობის პრინციპებს. პერსონალის შეფასება შესაძლოა განხორციელდეს სამი მიმართულებით:

- ✓ **კვლევა ან/და შემოქმედებითი და საშემსრულებლო საქმიანობა;**

  პერსონალის მნიშვნელოვანი თანამონაწილეობით რეფერირებად ჟურნალებში გამოქვეყნებული სტატიების რაოდენობა და კონფერენციებში ჩართულობა; საერთაშორისო რეპუტაცია (მოწვევები საერთაშორისო კონფერენციებიდან; პრიზები; ჯილდოები; კვლევითი სტიპენდიები; გრანტები; ინტერდისციპლინარული ერთობლივი კვლევითი პროექტები; ახალგაზრდა მეცნიერთა ხელშეწყობა; საპატენტო განაცხადები, მინიჭებული პატენტები, კომერციალიზებული პატენტები და ა.შ.)

- ✓ **სწავლება;**

სწავლების ხარისხი (სტუდენტების სემესტრული შეფასების ანგარიშები, დეკანის/პროგრამის ხელმძღვანელის შეფასება); სწავლების ახალი კონცეფციების დანერგვა/განვითარება; თანამედროვე სწავლების მეთოდების გამოყენება; საბაკალავრო და სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელობა; მონაწილეობა საერთაშორისო მობილობაში; მონაწილეობა პროფესიული განვითარებისათვის საჭირო ღონისძიებებში (მაგ., სწავლების მეთოდების შესახებ ტრენინგებში/კონფერენციებში) და ა.შ.

- ✓ **აკადემიური ჩართულობა (საქმიანობა სამეცნიერო საზოგადოებაში, აკადემიური ხელმძღვანელობა, სოციალური ჩართულობა).**

  პერსონალის მიერ მისი საქმიანობის შედეგების შესახებ ინფორმაციის გავრცელება; უმცროსი კოლეგების მენტორობა; სამეცნიერო/შემოქმედებითი და მთლიანად საზოგადოების განვითარებისათვის გაწეული მომსახურეობა; უნივერსიტეტის მართვაში აქტიური ჩართულობა; უნივერსიტეტის კომიტეტებისა თუ საბჭოების წევრობა/თავმჯდომარეობა და ა.შ.

აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასება შესაძლებელია განხორციელდეს რამდენიმე საშუალების გამოყენებით:

- ✓ **გამოკითხვები;**

  თავად აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელის, ფაკულტეტის დეკანის, სამეცნიერო ერთეულის ხელმძღვანელის, სხვადასხვა სტრუქტურული ერთეულების წარმომადგენლების გამოკითხვები.

- ✓ **პერსონალის პირადი საქმის ანალიზი;**
- ✓ **სპეციალური კომისიის მიერ პერსონალთან გასაუბრება.**

4.3. მატერიალური რესურსი

უნივერსიტეტში საგანმანათლებლო პროგრამების სპეციფიკის გათვალისწინებით, უნდა არსებობდეს სათანადო ინვენტარით აღჭურვილი სასწავლო ფართი, მათ შორის, სასწავლო/სამეცნიერო-კვლევითი ლაბორატორიები, პრაქტიკული კომპონენტის განსახორციელებლად საჭირო ინვენტარი, საინფორმაციო-ტექნოლოგიური აღჭურვილობა ან შესაბამის დაწესებულებებთან გაფორმებული ხელშეკრულებები ამ დაწესებულების რესურსების სათანადო გამოყენების პირობით, შესაბამისი მარაგები (რეაქტივები, სასწავლო მასალები და სხვა), რომლებიც უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევას შესაბამის სტუდენტთა რაოდენობის გათვალისწინებით.

პროგრამის განსახორციელებლად საჭირო უძრავ ნივთებთან დაკავშირებით მართლზომიერი მფლობელობა წარმოიშობა წერილობითი ფორმით დადებული გარიგებისა და უფლების საჯარო რეესტრში რეგისტრაციის გზით. მართლზომიერი მფლობელობა უძრავ ნივთზე დასტურდება საჯარო რეესტრის ამონაწერით.

დაწესებულებაში შენობის აზომვითი ნახაზის საფუძველზე უნდა გაიმიჯნოს პროგრამის განსახორციელებლად საჭირო სასწავლო და დამხმარე ფართი. სასწავლო ფართში ითვლება ის ფართი, რომელიც გამოიყენება სწავლა-სწავლების მიზნებისთვის, კერძოდ: სასწავლო აუდიტორია, საკონფერენციო დარბაზი, საპროფესორო, სადაც სტუდენტებს პროფესორები უწევენ კონსულტაციას, სასწავლო/სამეცნიერო-კვლევითი ლაბორატორიები, ბიბლიოთეკა (გარდა წიგნსაცავისა) და სხვა ფართი, საგანმანათლებლო პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე.

პროგრამის განსახორციელებლად საჭირო მოძრავ ნივთებზე მართლზომიერი მფლობელობის მოსაპოვებლად აუცილებელია მხარეებს შორის არსებობდეს გარიგება და ნივთი გადავიდეს შემძენის მფლობელობაში. ამ შემთხვევაში მფლობელობა დასტურდება შესაბამისი გარიგებით და ნივთის ფაქტობრივი ფლობითა და სარგებლობით. დაწესებულება ვალდებულია, სათანადო წერილობითი მტკიცებულებებით (წერილობითი ხელშეკრულება, მიღება-ჩაბარების აქტი, ანგარიშ-ფაქტურა, ბალანსზე ხანგრძლივი პერიოდით არსებობის დამადასტურებელი დოკუმენტი (ინვენტარიზაციის შედეგები და სხვა), ზეპირად განხორციელებული ჩუქებისას მჩუქებლის წერილობითი დასტური და ა.შ.) დაადასტუროს მოძრავ ნივთებზე მფლობელობის/საკუთრების უფლება.

მნიშვნელოვანია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო შენობის/შენობების სასწავლო/სამეცნიერო-კვლევით ლაბორატორიებში უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფა, რაც დასტურდება შესაბამისი დოკუმენტაციით (სასწავლო/სამეცნიერო-კვლევით ლაბორატორიებში დაცული უნდა იყოს უსაფრთხოების ნორმები, რაც გულისხმობს, მაგალითად: ვენტილაციის არსებობას, ხანძარსაწინააღმდეგო მოწყობილობების და სპეც-ტანსაცმლის ქონას და ა.შ.).

მნიშვნელოვანია, რომ დაწესებულების საკუთრებასა ან მართლზომიერ მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსი (უძრავი და მოძრავი ნივთები) ემსახურებოდეს დაწესებულების საგანმანათლებლო მიზნების რეალიზაციას და შეესაბამებოდეს საგანმანათლებლო პროგრამის, კვლევითი საქმიანობის განხორციელების მოთხოვნებსა და არსებულ და/ან დაგეგმილ სტუდენტთა რაოდენობას.

დაწესებულებას უნდა ჰქონდეს პროგრამის განსახორციელებლად საჭირო წიგნადი ფონდი და ამ ფონდის ფლობის დამდასტურებელი დოკუმენტაცია. პროგრამის განსახორციელებლად საჭირო ბეჭდური და ელექტრონულ მატარებლებზე არსებული საბიბლიოთეკო ფონდი უნდა იყოს მრავალფეროვანი და განახლებადი დარგში მიმდინარე განვითარებების კვალდაკვალ, რათა უზრუნველყოს საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევა და კვლევითი/სამეცნიერო კვლევით საქმიანობის განხორციელება. მნიშვნელოვანია, რომ სტუდენტებისთვის ხელმისაწვდომი იყოს უახლესი სამეცნიერო პერიოდული გამოცემები, საერთაშორისო ელექტრონული საბიბლიოთეკო ბაზები, რომლებიც საშუალებას აძლევს მათ გაეცნონ შესაბამისი მიმართულების/დარგის უახლეს სამეცნიერო მონაცემებს პროგრამის სწავლის შედეგების მისაღწევად.

უნივერსიტეტს უნდა ჰქონდეს საერთაშორისო ელექტრონულ საბიბლიოთეკო ქსელში ჩართულობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია (ხელშეკრულება, მემორანდუმი, შეთანხმება და სხვა), ასევე, უნივერსიტეტი უნდა აკვირდებოდეს და აანალიზებდეს ელექტრონული საბიბლიოთეკო ბაზების გამოყენების სტატისტიკას.

4.4. პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა

პროგრამისათვის უსდ-ის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა უნდა იყოს ეკონომიკურად მიღწევადი. სასურველია, არსებობდეს დაფინანსების დივერსიფიცირებული წყაროები, რომლებიც რისკების მართვას უზრუნველყოფს ადეკვატურად და ეფექტურად. უნივერსიტეტს უნდა ჰქონდეს დოკუმენტურად გამყარებული ინფორმაცია დაფინანსების წყაროების არსებობის შესახებ. მოცემული დოკუმენტაცია უნდა ასახავდეს ინფორმაციას როგორც ჩართული აკადემიური, მოწვეული და/ან ადმინისტრაციული პერსონალის ანაზღაურების და სხვა ხარჯების, ასევე შესაბამისი შემოსავლის წყაროების შესახებ. ასევე, ხარჯებში გათვალისწინებული უნდა იყოს პროგრამით გათვალიწინებული აქტივობების უზრუნველყოფა (მაგ., კონფერენციებში მონაწილეობა; საერთაშორისო ჟურნალებში სტატიის პუბლიკაცია; წიგნადი ფონდის განახლება; პერსონალის პროფესიული განვითარება და სხვ.).

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა (პროცესები და პროცედურები) უსდ-ის ერთ-ერთი ძირითადი პასუხისმგებლობაა. მისი მიზანია უზრუნველყოს შესაბამისი ხარისხის აკადემიური პროგრამის განხორციელება. თითოეულ კონკრეტულ შემთხვევაში ხარისხის შიდა უზრუნველყოფის სისტემა დამოკიდებულია უსდ-ს კონტექსტსა და მასშტაბებზე. იმისათვის, რომ ხარისხის შიდა უზრუნველყოფის სისტემა იყოს ეფექტური, ის უნდა განხორციელდეს ფართო ჩართულობით, უნდა იყოს კომუნიკაცია სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეებთან და, რაც მთავარია, უნდა მოხდეს რესურსების ეფექტიანი გამოყენება. შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა უსდ-ის ყოველდღიური ფუნქციონირების განუყოფელი ნაწილია.

5.1. შიდა ხარისხის შეფასება

უსდ-მ უნდა შექმნას ხარისხის შიდა უზრუნველოფის ისეთი პროცესები და სისტემები თავისი აკადემიური პროგრამებისთვის, რომლებიც საშუალებას მისცემს მიიღოს უკუკავშირი განსხვავებული დაინტერესებული მხარეებისაგან (მაგ: სტუდენტები, კურსდამთავრებულები, აკადემიური პერსონალი, ინდუსტრია და ა.შ.). ამგვარი სისტემა საშუალებას მისცემს უსდ-ს, რომ სხვადასხვა პერსპექტივებიდან შეაფასოს პროგრამა და მოახდინოს როგორც ძლიერი, ასევე სუსტი მხარეების იდენტიფიცირება.

ხარისხის შიდა უზრუნველყოფის პროცესებსა და პროცედურებზე დაყრდნობით, უსდ-მ უნდა განახორციელოს შემდეგი:

- შეაფასოს თავისი პროგრამა როგორც პირდაპირი, ასევე არაპირდაპირი მეთოდების გამოყენებით. უსდ-მ უნდა შეაგროვოს მონაცემები, რომლებიც ასახავს სტუდენტების მიღწევებს შედეგზე ორიენტირებულ დავალებებში, აქტივობებში და ა.შ. დაადაროს შეფასების შედეგები შესაბამის სამიზნე ნიშნულებს. ის ასევე აგროვებს სხვა მონაცემებს (მაგ., სტუდენტთა კმაყოფილება, სტუდენტთა/კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელი და ა.შ.), რათა მოახდინოს პროგრამის არაპირდაპირი მეთოდით შეფასება.
- გამოიყენოს განსხვავებულ მეთოდები (მაგ., სოციალურ მეცნიერებებში, განათლებაში და ა.შ.), რათა შეაგროვოს მონაცემები, რომლებიც აღწერს იმ

სწავლებისა და სწავლის პროცესებს, რომლებიც გამოყენებულია აკადემიური პროგრამის ფარგლებში.

- მოაგროვოს როგორც რაოდენობრივი, ასევე თვისებრივი მონაცემები პროგრამის შეფასებისათვის (მაგ., სტუდენტთა პროგრესიისა და პროგრამის დამთავრების მაჩვენებელი, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მაჩვენებელი, კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელი, უკუკავშირი სტუდენტებისაგან, დამსაქმებლებისაგან და ა.შ.).
- შექმნას და განავითაროს მონაცემების შეგროვების სანდო და ვალიდური ინსტრუმენტები (მაგ., კითხვარები, ოქმები და ა.შ.).
- განახორციელოს პროგრამის შეფასება დაინტერესებული მხარეების ჩართულობით როგორც უნივერსიტეტის შიგნით, ასევე გარეთ.

უსდ-მ უნდა დაიცვას აკადემიური კეთილსინდისიერება პროგრამის შეფასების პროცესში. მონაცემთა ფალსიფიკაციისა თუ მანიპულაციის ნებისმიერი შემთხვევა გამოუსწორებელი ზიანს მიაყენებს და საფრთხის ქვეშ დააყენებს ხარისხის შიდა უზრუნველყოფის პროცესებსა და პროცედურებს.

უსდ-ს მიერ განხორციელებული ხარისხის უზურნველყოფის პროცესები და პროცედურები უნდა ასრულებდეს მის დანიშნულებას. ხარისხის უზურნველყოფის პროცესები და პროცედურები ეფექტურად უნდა იქნას დაგეგმილი და განხორციელებული როგორც გამოყენებული რესურსების, ასევე დახარჯული დროის თვალსაზრისით. პროგრამის შეფასების ეფექტურობის უზრუნველსაყოფად სასურველია უსდ-მ იხელმძღვანელოს ისეთი რესურსით, როგორიცაა, მაგ., განათლების შეფასების სტანდარტების გაერთიანებული კომიტეტი (Joint Committee on Standards for Educational Evaluation - JCSEE) [1]).

პროგრამაში ჩართულმა პერსონალმა უნდა მოახდინოს შეფასების მონაცემების/შედეგების ანალიზი, ინტერპრეტირება და დაადგინოს აკადემიური პროგრამის ძლიერი და სუსტი მხარეები. მათ უნდა მიიღონ გადაწყვეტილება იმის თაობაზე, თუ როგორ დაძლიონ გამოვლენილი ნაკლოვანებები. სასურველია, რომ უსდ-ში არსებობდეს ინფორმაციის მიმოცვლის ნათელი სისტემა უნივერსიტეტის სტრუქტურებს, პერსონალსა და გადაწყვეტილების მიმღებ ორგანოებს შორის, რათა მოხდეს აკადემიური პროგრამაში

[1] http://www.jcsee.org/program-evaluation-standards-statements

არსებული გაუმჯობესების გაცნობა დაინტერესებული მხარეებისთვის და/ან პროგრამის გასაუმჯობესებლად შესაბამისი გეგმ(ებ)ის დასახვა.

უსდ-ის მიერ მომზადებული პროგრამის თვითშეფასების ანგარიში შექმნილი უნდა იყოს როგორც აკადემიური, ასევე ადმინისტრაციული პერსონალის ჩართულობით. როგორც წესი, აღნიშნულ პროცესში ჩართული არიან აკადემიური პერსონალის სრული შემადგენლობა და შესაბამისი ადმინისტრაციული ორგანოების წარმომადგენლები. მათი ჩართულობა შეიძლება მოიცავდეს სხვადასხვა აქტივობებს:

- ფოკუს-ჯგუფებსა და ინტერვიუებში მონაწილეობა, რომელიც ეხება კონკრეტულ სტანდარტს/კომპონეტს/მოთხოვნას;
- თვითშეფასების ანგარიშის შექმნასა და/ან მის გადახედვაში უშუალო მონაწილეობა;
- მტკიცებულებების/მონაცემების და ა.შ. მიწოდება, რომელიც აღწერილია თვითშეფასების ანგარიშში ან თან ერთვის მას.

პროგრამის თვითშეფასების მომზადება არის სისტემური პროცესი, რომელიც ხდება გარკვეულ პერიოდულობით და მიზნად ისახავს როგორც აკადემიური პროგრამის შეფასებას დადგემილ სტანდარტებთან მიმართებით, ასევე ფორმალური უკუკავშირის მიღებას გარე შემფასებლებისაგან (შეადარეთ მონიტორინგს, რომელიც ქვემოთაა მოცემული). თვითშეფასების პროცესში უსდ (მისი ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური და პროგრამის პერსონალი) ფოკუსირებულია:

- სტანდარტებთან მიმართებით გამოვლენილ ძირითად ძლიერ და სუსტ მხარეებზე;
- პროცესებსა და პროცედურებზე, რომლებიც გამოყენებულია აკადემიური პროგრამის ეფექტურად შესაფასებლად;
- პროგრამის შეფასების შედეგებზე დაყრდნობით იღებს ინფორმირებულ გადაწყვეტილებებს, რაც გულისხმობს შესაბამის ინტერვენციებს, გაუმჯობესების გეგმასა და ა.შ.

თვითშეფასების პროცესი კარგი საშუალებაა უნივერსიტეტისთვის, რათა მიიღოს და შეაგროვოს უკუკავშირი შიდა და გარე დაინტერესებული მხარეებისგან (მაგ., ინდუსტრია, პარტნიორები, გარე ექსპერტები და სხვ.) პროგრამის შესახებ. უნივერსიტეტმა უნდა ასახოს, თუ როგორ აღმოფხვრა (ან გეგმავს, რომ აღმოფხვრას) თვითშეფასების პროცესში გამოვლენილი ნაკლოვანებები.

ხარისხის უზრუნველყოფა ეფუძნება პრინციპს - "დაგეგმე, განახორციელე, შეამოწმე, განავითარე", რითიც აჩვენებს, რომ ის მუდმივად ზრუნავს პროგრამის ხარისხის გაუმჯობესებაზე.

5.2 გარე ხარისხის შეფასება

ხარისხის გარე უზრუნველყოფის პროცესები მოიცავს პროგრამის ფორმალურ შეფასებას გარე ექსპერტების მიერ (ეს შეიძლება იყოს ადგილობრივი ან საერთაშრისო პროფესიონალი შესაბამისი ცოდნით), პროგრამის თვითშეფასების ანგარიშზე დაყრდნობით. ასეთი შეფასება ტარდება იმ სტანდარტებთან მიმართებით, რომლებიც დასახულია შესაბამისი ეროვნული ან საერთაშორისო სააგენტოს მიერ. გარე თვითშეფასების პროცესი შეიძლება დასრულდეს რეკომენდაციების მიღებით აკადემიური პროგრამის სამომავლო განვითარებისათვის. მნიშვნელოვანია, რომ უსდ-ს ფარგლებში განიხილებოდეს რეკომენდაციები მომავალი განვითარებისათვის და ასევე გაუმჯობესებების გზები დაისახოს ან სამოქმედო გეგმა შემუშავდეს. ასეთი სამოქმედო გეგმა შეიძლება მოიცავდეს სპეციფიკურ ინტერვენციებს, პასუხისმგებელ ორგანოებს/პერსონალს/ფაკულტეტს, დროის მონაკვეთსა და ა.შ.

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება

აკადემიური პროგრამის მონიტორინგი არის მუდმივი პროცესი, რომელიც წარმოადგენს ხარისხის შიდა უზრუნველყოფის პროცესებისა და პროცედურების განუყოფელ ნაწილს. იგი ეხმარება უსდ-ს აკადემიურ პროგრამებში არსებული ტენდენციების აღმოჩენაში, მათი მოთხოვნილებების აღმოჩენაში, შესაბამისი ინტერვენციების განხორციელებასა და/ან ინტერვენციების გეგმის შედგენაში. ზოგადად, მონიტორინგი ეხმარება უნივერსიტეტს, რომ შეინარჩუნოს განათლების შესაბამისი დონე და შექმნას ხელისშემწყობი, საგანმანათლებლო გარემო. მონიტორინგის სისტემა საშუალებას აძლევს უსდ-ს, რომ:

- ფოკუსირდეს სპეციფიკურ კრიტერიუმზე (მაგ., სტუდენტების კმაყოფილება და მოლოდინები, ჩარიცხვა, პროგრესიისა და დასრულების მაჩვენებლები, დასაქმების მაჩვენებლები და ა.შ), რათა აკადემიური პროგრამა ეფექტურად შეფასდეს;
- შეაგროვოს სანდო და ვალიდური მონაცემები (როგორც რაოდენობრივი, ასევე თვისებრივი) პროგრამის შესაფასებლად და მიგნებებზე მოხსენება გააკეთოს (მაგ., აღმოჩენილი ტენდენციები, ძლიერი და გასაუმჯობესებელი მხარეები);

- იყოს მონაცემებით მართული და როდესაც საჭიროა მიიღოს ინფორმირებული გადაწყვეტილება პროგრამების გაუმჯობესებასთან დაკავშირებით, რომელიც მოიცავს შესაბამისი ინტერვენციების შემუშავებას და/ან სამოქმედო გეგმას და მიზნად ისახავს იდენტიფიცირებულ გამოწვევებთან გამკლავებას.

სასურველია, უსდ-მ შექმნას პროგრამის მონიტორინგის პროცესები, რომლებიც მხარს დაუჭერს მის გარე შეფასებას. უსდ-მ შეიძლება მიზანშეწონილად მიიჩნიოს აკადემიური პროგრამის კოლეგიალური შეფასების განხორციელება, როგორც ხარისხის შიდა უზრუნველყოფის პროცესებისა და პროცედურების ნაწილი. უსდ თავად წყვეტს შეფასების მასშტაბს, რომელიც შეიძლება ვარირებდეს აკადემიური პროგრამის სრული შეფასებიდან უკუკავშირამდე მისი კონკრეტული ასპექტის, კომპონენტის, პროცედურის და ა.შ. შესახებ. კოლეგიალური შეფასების პროცესი მაშინ არის წარმატებული, როცა მას მოჰყვება კონსტრუქციული უკუკავშირი. უკუკავშირზე დაყრდნობით, უსდ აუმჯობესებს ან გეგმავს პროგრამის გაუმჯობესებებს.

უსდ-მ შეიძლება გადაწყვიტოს ლექციებზე დაკვირვებების, როგორც ხარისხის შიდა უზრუნველყოფის, სტრატეგიის გამოყენება. თავად უნივერსიტეტი წყვეტს, თუ რომელ ლექციებს და რა სიხშირით დააკვირდებიან. ეფექტური დაკვირვების უზრუნველსაყოფად, უსდ-მ პროცესი ლექციამდე ბევრად ადრე უნდა დაგეგმოს. სასურველია უნივერსიტეტმა შეიმუშავოს ლექციაზე დაკვირვების ფორმა, რათა აღიბეჭდოს დამკვირვებლის უკუკავშირი.

კარგ პრაქტიკად ითვლება აკადემიური პერსონალის წინასწარ ინფორმირება იმის თაობაზე, რომ მათ დააკვირდებიან. დაკვირვება ეფექტურია, როდესაც დამკვირვებლის უკუკავშირი კონსტრუქციული და დროულია.

ხარისხის შიდა უზრუნველყოფის სისტემა სტუდენტებს აძლევს საშუალებას შეაფასონ სავალდებულო კურსი სემესტრის დასასრულს. მსგავსი შეფასების ძირითადი მიზანი კურსის ინსტრუქტორებისათვის სტუდენტების უკუკავშირის მიწოდებაა, რომელიც დაეხმარება მას სასწავლო კურსის სამომავლო განვითარებაში. უნივერსიტეტი თავად წყვეტს, თუ რა მეთოდებსა და საშუალებებს გამოიყენებს სტუდენტების მიერ კურსის შესაფასებლად. სასწავლო კურსის შეფასებისას უსდ-მ მხედველობაში უნდა მიიღოს კონფიდენციალურობის საკითხი.

სტუდენტების მიერ კურსების შეფასება უფრო ეფექტურია, როდესაც იგი კომპლექსური (მაგ., აძლევს სტუდენტებს საშუალებას, რომ ფოკუსირდნენ კურსის განსხვავებულ ასპექტებზე, როგორიცაა კურსის ადმინისტრირება, სამუშაოს მოცულობა, რესურსები და ა.შ.) და დროულია.

უსდ პერიოდულად უნდა აანალიზებდეს აკადემიურ პროგრამას დარგის საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის მიხედვით. ამ მიდგომის გამოყენება რეკომენდებულია თანამედროვე ტენდენციების გასაგებად მოცემული დარგის სწავლა-სწავლებაში, რათა პროგრამა იყოს თანამედროვე. უნივერსიტეტი თავად წყვეტს, თუ როგორ განახორციელოს პროგრამის დადარება. მან შეიძლება გაითვალისწინოს პროგრამის სწავლის შედეგები, სტრუქტურა, შინაარსი და/ან პროგრამის სხვა ასპექტები.